საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროს. № 11. რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი, „საქართველო“. ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ., მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი „საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეშვიდე. ხუთშაბათი, იანვრის 27. 1921 № 19

ობლური მამა ვასილ გრიგოლის ძე ჯავახიშვილი, გულდაწყვეტილი ძმები: ექიმი დიმიტრი ვასილის ძე ჯავახიშვილი ცოლშვილით, გრიგოლ ცოლშვილით, არჩილი და ევგენი ჯავახიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 25 იანვარს გათენებისას გარდაიცვალა ფილტვების ანთებით მიხეილის საავადმყოფოში მათთვის დაუვიწყარი

ზაქარია (შაქრო) ვასილის ძე ჯავახიშვილი

გამოსვენება დღეს 27 იანვარს დილის 10 საათზედ საავადმყოფოსთან არსებულ ნიშიდან (დიდი მთავრის ქუჩა). წირვა და დაკრძალვა წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე.

1—3419—1.

სახელმწიფო ოპერა

ხუთშაბათს, იანვრის 27
ბოჰემა
პარასკევს, 28 იანვარს
დონ-ჟუანი

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

ხუთშაბათს, იანვრის 27-ს პრემიერა!

პირველად ამ სეზონში

განახლების და შესწორების შემდეგ **სამშობლო** დრამა ახალი დეკორაციები ვალ. სიდამონ-ერისთავისა. მონაწილეობს მთელი დასი 100 თანამშრომელი ხორო.

ბილეთები კასაში. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი

სასტუმრო „ინტერნაციონალი“-ს

ახალი პატრონი, აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამზარეულოს, რომელიც პირველხარისხოვან შეფიიო კულინარის ზედამხედველობაში იმყოფება.

ყოველდღე საუზმე
დილის 11 საათიდან.

სადილი ×××××× ვახშამი
2 საათიდან საღ. 6 საათამდე.

ნაირ-ნაირი და საუკეთესო ღირსების საჭმელები.

სასურველია ყველა თითონ დარწმუნდეს ოთხშაბათობით და შაბათობით: მოსკოვის პელმენი.

პარასკეობით, და სამშაბათობით და კვირაობით: ციმბირის პილმენი.

ორშაბათობითა და ხუთშაბათობით: რუსული ბლინები.

პატივისცემით. აპ. კუზნეცოვი.

საყურადღებოდ

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ მან გახსნა ფეხსაცმელების სახელოსნო (ორბელიანის ქ. ტელეგრაფის ჩიხი № 4 ინვალიდების სახლში).

ფასები ძლიერ დაკლებულია.

დანაკვეთის დროზე ასრულებისა და საქონლის ხარისხისათვის სრული პასუხისმგებელია კავშირი.

7—12—4 გამგეობა.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა აცხადებს

საზოგადოების საყურადღებოდ,

რომ მის საკუთარს სახელოსნოში ქ. ბათუმში მზადდება ბამბუკის ავეჯეულობა: ლოგინები, სკამები, მაგიდები და სხვა. დაკვეთა შეიძლება ქ. ბათუმში, კავშირის განყოფილებაში და ქ. თბილისში, გამგეობის ბინაზე (პლეხანოვის პროსპ. № 139).

7—13—4 გამგეობა.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა აცხადებს

საზოგადოების საყურადღებოდ,

რომ ამა წლის 20 იანვრიდან

დაიწყება კავშირის ბავშვთა თავშესაფარში ომში დაღუპულ მეომართა უმწეოთ დარჩენილ ობლების მიღება.

წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. არა ქართველთათვის ქვეშევრდომობის მოწმობა (ქალაქის თვითმართველობათა მიერ გაცემული); 2. მისაღებ ბავშვის მამის ნამსახურების ხია, ან მოწმობა მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისა მისი სამსახურის შესახებ; 3. სიღარიბის მოწმობა (გაცემული ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ. თემებში-კი, თემის გამგეობის მთელი შემადგენლობის მიერ ხელმოწერილი). და 4. მისაღებ ბავშვთა მეტრიკული ამო წერილობა. შუამდგომლობა აღძრულ უნდა იქნას მთხოვნელის საცხოვრებელ ადგილის მიხედვით ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ (ქალაქის, ან მაზრის ერობის მიერ). თავშესაფარში მიიღებიან ობლები ორივე სქესისა 6-დან 10 წლამდე. თავისუფალია 30 ადგილი. ობლებს პატრონობას კავშირი კისრულობს 16 წლის შესრულებამდე.

7—14—4 გამგეობა.

კიკეთის სააგარაკო

• კოოპერატივი •

ღებულობს წევრებათ, უფულოთ, ყველას, ვისაც: ან აგარაკი აქვს, ან ხარები, ძროხები და ფურკარი ყავს და ან სხვა და სხვა დარგის მეურნეობაში მუშაობა შეუძლია. ჩაწერა გაგრძელდება 1 თებერვლამდის ზ. დავიდოვის თევზის მაღაზიაში პუშკინის სკვერთან.

5—3393—4

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირს აქვს გახსნილი

სასადილო **„ბლან-ნუარ“**

პლეხანოვის პროსპ. № 83.

ცხელი საჭმელები, ცივი საუზმეულობა, სასმელები.

კავშირის წევრთ ეძლევათ სადილ-ვახშამი ოც-ოც მანეთად (20—20 მან.)

7—15—4 გამგეობა.

ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან ახლად მოაწყო ვალცის წისქვილი **(Вальцовую мельницу)**, რომელიც ჯერ ჯერობით დღიურად ფქვავს 1000 ფუთ ხორბალს, მიღებულია ზომები მის გაფართოებლად და ახლო მომავალში დაფქვავს დღიურად 2000 ფუთამდე.

დაწესებულებებმა, რომლებიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილით, ყოველივე ცნობებისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას.

ბათომის ქალაქის გამგეობა.

15,000 მან. და

ორი ოთახი

იმას ვინც მიშოვის ან დამითმობს სამ ან ოთხ ოთახს სამზარეულოთი მე-9, 10, 6, 3, 2, 1 უბნებში

მისამართი: ალექსანდროვის ქუჩა № 40 ბინა 2.

1—407—13.

1921 წელს გამოვა შეერთებული დასურათებული საყმაწვილო ჟურნალები

„ჯეჯილი“ და „ნაკადული“

ორივე ჟურნალის შეერთება და გაფართოებული პროგრამით გამოცემა იკისრა ერობათა კავშირმა

რედაქციასთან არსებობს მუდმივი დამხმარე სარედაქციო კომისია. კომისიაში შედიან ალ. მირიანაშვილი, ელ. ელიავა, ალ. მიქაბერიძე, ალ. ფაღავა, ან. ხახუტაშვილი, ელ. ვისალაძისა. „ჯეჯილი“ გამოვა მოზრდილთათვის თვეში ერთხელ—64 გვ. „ნაკადული“ გამოვა მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ—32 გვ. ხელის მოწერა მიიღება თვიურად. ფასი ორივე გამოცემისა—240 მან. ცალ-ცალკე—120 მ. მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, ერობათა კავშირის ბინაზე. „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ რედაქცია. რედაქტორები: ანასტასია წერეთლისა, ნინო ნაკაშიძე, პავლე საყვარელიძე. გამომცემელი ერობათა კავშირი.

29. 2—2.

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს 28 იანვარს

პირველად განახლების შემდეგ

დონ-ჟუანი

სრულიად ახალი მოწყობილობით, ახალი დეკორაციებით და ახალი ● ტანისამოსით. ●

დირიჟორი ჩერეპნინი ნ. ნ. ბალეტს დასდგამს მორდკინი მ. მ. დეკორ. მხატვ. სიმოვისა ვ.

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები **დ. ი. კალანდაძისა**

ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

დასავლეთ საქართველოს

სავაჭრო-სამრეწველო ბანკის

კოლხიდბანკის გამგეობა ამით აცხადებს ბბ. აქციონერების საყურადღებოთ, რომ თანახმად ბანკის საბჭოს დადგენილებისა ამა წლის ოთხ იანვრიდან, მეორე ნახევარი 50 პროცენტი —ხუთასი მან. თითო აქციაზე—შემოტანილი უნდა იქნეს ა. წ. 20 თებერვლამდე

ქუთაისში—კოლხიდბანკში, თბილისში—ცენტრობანკში, ბათუმში – საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ფოთში, ლანჩხუთში და ოზურგეთში ადგილობრივ ბანკებში.

შენიშვნა: თუ ვადაზე არ იქნა შეტანილი სრულად აქციების მეორე ნახევარი გამგეობა მოიქცევა თანახმად წესდების § 9.

ფულის გადახდის დროს საჭიროა წარმოდგენილ იქნას დროებითი კვიტანციები

3—3410—1

კოლხიდბანკის გამგეობა.

ბრაზმორეული განაპი.

საუკეთესო დასაბუთებას იმისას, რომ არასოციალისტური მიმდინარეობანი უსათუოდ უნდა გაერთიანებულიყვნენ და ეს ფაქტი სწორედ დღევანდელს პირობებში საჭირო არის, იძლევა ის ჩოჩქოლი და ნერვიობა, რომელსაც მისცემიან სოციალისტური პარტიები ამის გამო. „შეტევა“ პირველად დაიწყეს სოციალისტ-რევოლუციონერებმა, რომელთაც ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მხოლოდ წინასწარი მოლაპარაკების სტადიაში იყო არასოციალისტურ მიმართულებათა შეერთების საკითხი, ყვირილი ასტეხეს: ჰარიქა, ვუშველოთ დემოკრატიას, კონტრრევოლუცია ერთიანდება! ამ „პატარა კაცებისაგან“ მიცემული ტონი შესაფერისად აიღეს სოციალისტ-ფედერალისტებმა და სოციალ-დემოკრატებმა და შეიქმნა დაუსრულებელი ღრიანცელი „რეაქციის გაერთიანების“ შესახებ...

სოციალისტებს ყველაზე ძალიან ის გარემოება აწუხებს, რომ არასოციალისტური პარტიების სოლიდარობა შესაძლებელი ხდება იმ დროს, როდესაც სოციალისტურს ზღუდეებში საგრძნობ ნახეთქებმა იჩინეს თავი. ცხადია ისედაც, რომ ყოველის მხრივ ხელსაყრელია სოციალისტებისათვის ბრძოლის გაგრძობა მოწინააღმდეგის დაქსაქსულ ძალებთან და ამრიგად ხელშეუშლელად დანერგვა სოციალისტური და ბუნტარული იდეოლოგიისა.

მმართველი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო ამავე მოსაზრებით ეხება უკანასკნელს ნომერში არა სოციალისტური პარტიების გაერთიანების საკითხს, რაც მოწვეულ კონფერენციის შემდეგ თითქმის რეალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მენშევიკების ოფიციალური გაზეთი უშველებელ მეთაურში ერთს რიგიან აზრს არ იძლევა საკითხის სერიოზულად გასარკვევად და ბრაზმორეული გადაღეჭილსა და საცოდავ ფრაზებს სჩმახავს „სპეკულიანტებზე და მემამულეებზე“, რომელთაც თურმე „რევოლუციის დიდი მონაპოვარის წაგლეჯა მოუწადინებიათ დემოკრატიისაგან“.

თუმცა „ერთობა“ აცხადებს, რომ არასოციალისტური პარტიების გაერთიანებული კონფერენციის შეკრება არის „ფაქტი დიდათ საყურადღებო ჩვენი დემოკრატიისათვის“, მაგრამ ამ დემოკრატიას მენშევიკების გაზეთი ჩვეულებრივად აბუჩად იგდებს, სრულებით არ უხსნის საქმის ვითარებას, გვერდს უხვევს, როგორც ყოველთვის, ობიექტიურ ანალიზს და ჰგონია, რომ საქართველოს დემოკრატია მუდამ მისი ყურ მოჭრილ ყმად დარჩება და ასევე მუდამ დაუჯერებს მენშევიკების დაქირავებული ვექილების მოსაბეზრებელ ლათაიებს.

იდეურად გაკოტრებული პარტია, რომლის სახელმწიფოებრივ ბატონობის ჟამს საქართველო კულტურულადაც, გონებრივადაც და ნივთიერადაც ისე დაქვეითდა და დაეცა, როგორც არასდროს თავისი პოლიტიკური თვითმყოფობის უხსოვარ დროიდან, ეხლა გამოდის და ლაზღანდარულად ითვლის თავის ღვაწლს ქართველი დემოკრატიის წინაშე. ის ადამიანები, რომელთა ხაშმობლოს ბუნება გონებას ურევდა და ათეული წლების მანძილზე ქართველი ხალხი ეროვნული გადაგვარებისაკენ მიჰყავდათ; ისინი, ვინც მანიაკური გატაცებით იბრძოდენ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და თვით ობიექტურ პირობებს, ისტორიის „ჩარხის ტრიალს“ უძალიანდებოდნენ; ის მართლაც „ნაძალადევი პატრიოტები“, რომელნიც დღემუდამ სტირიან „სამწუხარო მოვლენის შედეგების „გამო“ და დღესაც იმედს არ ჰკარგავენ, რომ შეიქმნება ისეთი კონიუნქტურა, როდესაც შესაძლებელი გახდება „დიდ პოლიტიკურ ერთეულში შესვლა“, რაიც ამ პოლიტიკური მახინატორების შეხედულებით ფრიად არგებს „საქართველოს საწარმოვო ძალთა განვითარებას“—აი ესენი ვერ ურიგდებიან იმ ფაქტს, რომ საქართველოში თანდათანობით ფეხს იკიდებს და ძლიერდება ის მიმართულება, რომლის პოლიტიკურ იდეალს შეადგენს საქართველოს ეროვნული თავისუფლება და დამყარება ნამდვილი ხალხოსნური, დემოკრატიული წესწყობილებისა.

ეს გარემოება ყველაზე ძლიერ აშინებს სწორედ მმართველ პარტიას, რომელიც ლაქიურად ხოტბას უძღვნის საქართველოში არსებულს წესებს, ესე იგი, ადასტურებს ძალმომრეობას, უფლებრივ შეგნების დახშობას, სღვთო პირების სისტემატიურ ხელის ფათურს ხალხის ღარიბ სალაროში, უთავბოლობას და შეუწყნარებელ ფუქსავატობას და რომელიც თქმა არ უნდა, ვერ უძლებს წყვიადში გაუბედავად შემოპარულ სხივებს...

არასოციალისტურ მიმართულებაში გაკოტრებული იდეოლოგები სპეკულიანტობასა და რეაქციას ხედავენ! „ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალ“, ასე იტყვის ქართველი ამ შემთხვევაში: მენშევიკების „კაზიონი“ მწერლებმა თვალი რომ გადაჰკრან სულ ზერელედ იმ დაწესებულებებს, რომელთა „ქებათა ქების შესახმელად“ ისინი დაუქანცავებით, ცოტა მაინც შეჰრცხვებოდათ სპეკულიაციაზე წერისა, ხოლო რაც შეეხება რეაქციას, ვიტყვით რომ, დიახ, ჩვენი მიმართულება არის ნამდვილი რეაქცია იმ უმზგავსოებისა და უფლების ყოველივე ნასახის დათრგუნვის წინააღმდეგ, რამაც უფსკრულისაკენ ეგზომ სისწრაფით მიიქანა ჩვენი პატარა ქვეყანა! ის არის რეაქცია, თუ გნებავთ, მაგრამ რეაქცია: ავადმყოფობისაგან განკურნებისაკენ, უძლურობისაგან სიმძლავრისაკენ, დაქვეითებისაგან ამაღლებისაკენ, სიბრიყვისაგან კულტურისაკენ...

ამ მიზნით ერთიანდება მთელი არასოციალისტური მიმართულება საქართველოისა და იმედი გვაქვს ქართველი შეგნებული და პატრიოტული ხალხის დახმარებით გადავარჩენთ ჩვენს სამშობლოს დაღუპვისაგან, რომელსაც მას უმზადებენ სხვა და სხვა ჯურის სოციალისტები...

ახალი კაბინეთი.

გუშინ დეპეშამ გადმოგვცა საფრანგეთის ახალი კაბინეთის მეთაურის ბრიანის დეკლარაცია.

დეკლარაციიდან ცხადად სჩანს, როგორც მიზეზი ახალი კაბინეთის შედგენის აუცილებლობისა, ისე ის მთავარი საზრუნავი საგანი, რომლის გარშემო შემოკრებილია ბრიანის კაბინეთის ახალი ძალები.

ბრიანის დეკლარაციის უდიდესი ნაწილი შეიცავდა ომისაგან გამოწვეულ ზარალის ანაზღაურებას, გერმანიის განიარაღებას და რაც აქედან თავისთავად გამომდინარეობს, საფრანგეთის და მოკიდებულებას მოკავშირეებთან.

დეკლარაციაში ნათქვამია:

„ჩვენ ხელი მოვაწერეთ გერმანიასთან ზავზე, მაგრამ ჩვენ კიდევ არა გვაქვს მშვიდობიანობა“-ო.

საფრანგეთს არც ექნება მშვიდობიანობა, სანამ გერმანიის 60 მილიონზე მეტი მცხოვრებთა მასსა დაპირისპირებული იქნება 30 მილიონიან საფრანგეთთან. ბრიანი და მისი მთავრობა ვერ ჰხედავენ ისეთ გარემოებათ, რომელიც უზრუნველჰყოფდეს საფრანგეთს ახალ საფრთხისაგან, რადგან საფრანგეთის უზრუნველყოფა ყოველგვარ საფრთხისაგან შესაძლოა მხოლოდ გერმანიის განიარაღებით. ბრიანი ამბობს, რომ ეს პირობა საფრანგეთისათვის ყოფნა არ ყოფნის საკითხია, რომლის დადებითად გადაწყვეტა უმთავრეს საზრუნავს შეადგენს ახალი კაბინეთისათვის.

აქედან გამომდინარეობს, რომ ბრიანის კაბინეთი ვერსალის ზავის პირობათა უცვლელად შესრულებას მოითხოვს, მაგრამ მას არ შეუძლია ამ პირობათა შესრულებას მიაღწიოს მოკავშირე სახელმწიფოებთან მჭიდრო კონტაქტისა და დახმარების გარეშე. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას იტყვის ინგლისი. უკანასკნელი კი თავის საგარეო პოლიტიკაში სულ სხვა გზით მოქმედებს, ვიდრე საფრანგეთი. ინგლისი ამ ბოლო ხანებში ძალიან დაუახლოვდა გერმანიას და ცდილობს დაუახლოვდეს რუსეთსაც. ინგლისი ვერ იგუებს, რომ ამერიკა შეიქნეს მთავარი ძალა და ფაქტიური პატრონი რუსეთისა და მისი სიმდიდრისა. რუსეთში შესასვლელად მისი და ექსპლოატაციისათვის ინგლისს სჭირია გერმანია. ცხადია, სხვებზე უკეთ მხოლოდ გერმანიას შეუძლია რუსეთში მუშაობა, რადგან კარგათ იცნობს რუსეთს და მეტი გამოცდილებაც აქვს რუსეთში მუშაობით.

ამ მხრივ საფრანგეთი გრძნობს, რომ მას მოუხდება საგარეო პოლიტიკის შეცვლა. ბრიანს იცნობენ ძლიერ მოქნილ და მოხერხებულ კაცად. მან უნდა შეარიგოს საფრანგეთის გარდუვალი ინტერესი ვერსალის ზავის პირობათა შესრულებისა და შეცვლილ საერთაშორისო განწყობილების ეხლანდელი გარემოებანი.

მაგრამ საფრანგეთი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა ეკონომიურად და ფინანსიურად, რომ მას არ შეუძლიან მომავალზე ფიქრი გარეშე ვერსალის იმ პირობის ასრულებისა, რომელიც ეხება გერმანიიდან ანაზღაურების მიღებას.

მაშასადამე, საფრანგეთის სტრატეგიული და ეკონომიური მდგომარეობა ერთიანად ვერსალის ზავისაკენ მიუთითებს ახალ მთავრობას, რომელიც იმავე დროს დარწმუნებულია, რომ გარეშე მოკავშირეთა ამ მხრივ დახმარებისა, საფრანგეთი მარტო ვერ შესძლებს ზავის პირობების განხორციელებას, უკანასკნელში საფრანგეთთან ერთად არის ბელგია. იტალია კი საფრანგეთის თვალსაზრისს ბევრ კითხვებში ვერ იზიარებს, ასე რომ, საფრანგეთის ბედი წინასწარ გაწირულია, თუ ის ვერსალის პირობების შესრულებას კატეგორიულად დაწვა. მეორეს მხრივ, თუ ვერსალის პირობები ასე თუ ისე შეიცვალა ზოგ საკითხებში, იგი მთლად დარღვეულად ჩაითვლება და გერმანია ამით ისარგებლებს როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. ერთად-ერთი გარემოება რომ დავუშვათ—გერმანიის გათანაბრება საერთაშორისო ვაჭრობა-მრეწველობაში და ერთა ლიგაში, ეს სრულიად საკმარისია, რომ საფრანგეთი ფაქტიურად ჩამორჩეს გერმანიას და დაჰკარგოს პრესტიჟი და გავლენა, რომელიც მას ომის შემდგომ შერჩა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ შეუძლებელია გერმანიის ალაგმვა და შებოჭვა იმ ხელოვნურ ჯაჭვებით, რომელიც მას გასაქანს უსპობს ყოველგვარ მოქმედებაში, თუ მთელი ევროპა არ გაიზიარებს საფრანგეთის ინტერესს და თვალსაზრისსა მხოლოდ საფრანგეთის ძალას კი ეს აღემატება. რადგან ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობა თავისი ინტერესით და თვალსაზრისით ცოტათ თუ ბევრათ მაინც განსხვავდება საფრანგეთისაგან, ცხადია, რომ გერმანია მით უფრო მეტს შეიძენს, რაც უფრო მეტ დროს მოიგებს. თვით დრო გამოაშკარავებს სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობას. საფრანგეთის სტრატეგიულ და ფინანსიურ—ეკონომიური მდგომარეობა მით უფრო კატეგორიულად მოითხოვს გარანტიებს საფრთხეთაგან უზრუნველყოფისათვის.

საფრანგეთის დიპლომატიურ ნიჭზე იქნება დამოკიდებული გამონახოს ახალი გზები ფრიად გართულებულისა და წინააღმდეგობით სავსე ინტერესთა იმ ხლართებში, რომელთაც წარმოადგენს ეხლა ევროპის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, ომი ყველას მობეზრდა და ომი არავის არ სურს. თუ სამხედრო მოქმედება დაისაჭიროვა საფრანგეთმა, ის განცალკევებული დარჩება და ნამდვილი დაუძლეველი საფრთხე მაშინ გაუჩნდება მას. მაშასადამე ბრძოლა იქნება დიპლომატიური.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენათ შესძლებს ბრიანის კაბინეთი იმ რთულ გარემოებათა დამორჩილებას, რომელიც ეხლა ევროპას ამძიმებს.

უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

პრესსა

„ერთობა“

გუშინ ფედერალისტების „სახალხო საქმემ“ გაამჟღავნა შიშით ძრწოლვა ჩვენ კონფერენციაზე მომხდარ ფაქტის—არა სოციალისტურ პარტიათა გაერთიანების გამო.

დღეს „ერთობა“ კიდევ უფრო მეტი შიშით შეპყრობილი, მიმართავს თავის პარტიულ რაზმებს მჭიდროთ შემოკრბენ მენშევიკების გარშემო რადგან „ერთობის“ აზრით არა სოციალისტურ მიმდინარეობათა.

„გაერთიანება და დარაზმვა ავალებს ჩვენს დემოკრატიას, რომ იგი თითონაც დარაზმული, მთლიანი და ურყევი დაუხვდეს მოპირდაპირეს, რომელიც, ეჭვი არ არის, გაერთიანებასთანავე იერიშებს მიიტანს ჩვენს დემოკრატიაზე და მოინდომებს იმის ანაზღაურებას, რაც მას რევოლუციამ წაართვა“.

„ერთობა“, როგორც ყოველთვის აქაც წინააღმდეგობაში ვარდება. არა სოციალისტური მიმდინარეობა და დემოკრატია განუყრელი ერთარსებაა. ეს „ერთობამ“ უნდა იცოდეს, თუ მას რამე ახსოვს ნ. ჟორდანიას პუბლიცისტიკიდან. დემოკრატია რომ ყოველთვის მიჰყვება არა სოციალისტურ მიმდინარეობათ, ეს დაამტკიცა გერმანიამ, ჰუნგრეთმა, ინგლისმა და მთელმა ევროპამ სულ რამოდენიმე თვის წინ არჩევნებისას.

დემოკრატიზმი რომ შედეგია არასოციალისტურ ძალთა ამოძრავებისა და არა სოციალიზმისა და მენშევიზმისა,—ეს დაამტკიცა კერძო მესაკუთრეობის ევროპამ, სადაც მოქალაქეთა წრის განვითარებამ წარმოშვა და განამტკიცა დემოკრატიზმი; ეს დაამტკიცა რუსეთმა, სადაც სოციალიზმის გამარჯვებამ აღმოფხვრა ყოველივე ჩანასახი თავისუფლებისა და დაამყარა დესპოტიზმი, რომლის მსგავსი რუსეთს არ ჰუნახავს არც იოანე მრისხანის დროს. ეს დაამტკიცა საქართველომ, სადაც სოციალისტურმა მეთოდებმა და პოლიტიკამ დაამყარა პარტიული დესპოტიზმი, მენშევიკების უკონტროლო ბატონობა და შელახა ყოველივე წმიდათა წმიდა მოქალაქის თავისუფლებისა.

„ერთობა“ გზააბნეულია. ის „ბუნტებს“ ეძებს მოქალაქეთა აზროვნების თავისუფალ გამომჟღავნებაში „ბუნტი“ კი მას შინა აქვს და მას მოუარის.

ჩვენი კონფერენციის მუშაობაზე რომ „ერთობას“ რაიმე წარმოდგენა ქონდეს, აღარ იტყვის ისეთ „აბდა უბდას“ და შაბლონურ ფრაზებს, როგორიცაა „მღვდლების“, „თავად აზნაურების“ და „სპეკულიანტების“ შესახებ ლაპარაკი.

სხვათა შორის, ნუ დაავიწყდება „ერთობას“ რომ მენშევიკების გაძლიერება საქართველოში სხვათა შორის მღვდლების პროპაგანდით მოხდა. ჩვენ ეს გვახსოვს, რადგან ჩვენ გვახსოვს 1904 წელი.

„თავადაზნაურობა“ კი ჩვენში არსებობს როგორც წოდება, არამედ არსებობს მხოლოდ თავისუფალი მოქალაქენი. თუ ვინმე დღეს კიდევ „თავადაზნაურობს“—ეს ისევ მენშევიკების ბობოლებია. ახალი ტიპის „თავადაზნაურობა“ შექმნა მენშევიზმმა და ეძიოს „ერთობამ“ თავის პარტიულ სფეროებში.

თუ „ერთობას“ სპეკულიაცია აინტერესებს, ვურჩევთ გაეცნოს სოციალისტისა და მენშევიკის „ამხანაგ კახელაძეების“ საქმეებს. არ იქნებოდა ურიგო კონტროლსაც რომ დაეკითხებოდეს.

ჩვენი მიმართულება კი როგორც არასოციალისტური ერთად ერთი და საიმედო ბურჯი მთელი საქართველოს დემოკრატიისათვის, რომელიც ბუნებრივად ჩვენსკენ მოისწრაფვის.

დიადი საქართველოს დემოკრატია დარაზმდება, შეერთდება, იქნება მთლიანი და ურყევი და მტკიცეთ დაუხვდება თავის მოპირდაპირეს. მაგრამ მას თქვენ ვერღა შეიყვანთ შეცდომაში; ის თქვენ ჩამოგცილდებათ და ჩვენი დროშის ქვეშ შემოკრბება. ჩვენ ეს მტკიცეთ გვწამს და მომავალი ამას დაგვიმტკიცებს.

ეროვნული მომენტი ჩვენი პარტიის იდეოლოგიაში.

არა სოციალისტურ მიმდინარეობათა გაერთიანების კითხვამ დიდი და ფრიად საინტერესო მსჯელობა გამოიწვია იმის გარშემო, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს აწმყო და მომავალ სიტუაციას ის, რომ არა სოციალისტურმა იდეოლოგიამ თავის ბრძოლის ქვაკუთხედად აღარ დააყენოს ეროვნული იდეის ქართველ ხალხში განმტკიცება.

ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით და ახლა უფრო მტკიცედ ვიცავთ იმ აზრს, რომ რუსეთის რევოლუცია მხოლოდ იმდენად არის დასაფასებელი, რასაკვირველია, ისტორიულის თვალსაზრისით, რამდენადაც ეს რევოლუცია შვებასა და თავისუფლებას ანიჭებდა რუსის ხალხს პოლიტიკურად, ხოლო არა რუსის ერებს ეროვნული თვითგამორკვევის შესაძლებლობას.

რუსის ხალხმა თვითვე განაცხადა უარი პოლიტიკური თავისუფლებისაგან და მთელი თავისი არსება კვლავ დესპოტიას (ამ ჟამად სოციალისტურს) ჩაუგდო ხელში, რითაც მან ცხადჰყო, რომ თავისუფალი განვითარებისათვის იგი ჯერ კიდევ არ ყოფილა მომზადებული.

სამაგიეროდ ყოფილი რუსეთის იმპერიის არა რუსულმა ელემენტებმა მთელი თავის ეროვნული ენერგია აამოძრავეს ეროვნული თავისუფლების მისაღწევად და საკუთარი სახელმწიფო ერთეულის აღსადგენად თუ ხელახლა ასაშენებლად. აი ამაში ჰპოვა გამართლება და აზრი რუსეთის რევოლუციამ და მისი დანიშნულებაც ეს იყო. გადასცილდა თუ არა ამ ფარგალს, იგი დაუყოვნებლივ დამარცხდა და დღეს უკვე საცოდავსა და უკულტურო ხალხს მძიმე ტვირთად დააწვა.

ჩვენ ვხედავთ, რომ რუსის ხალხი მხოლოდ იმდენად აინტერესებს კულტურულ და თუნდაც არა კულტურულ კაცობრიობას, რამდენადაც იგი ფიზიკურ საფრთხეს წარმოადგენს ძველსა თუ ახალ კულტურისათვის, ხოლო ახლად განთავისუფლებული ერები იმდენად შეადგენენ ინტერესს კაცობრიობისათვის, რამდენადაც ამ ერებს ახალი მოტივი და ახალი გამართლება შეაქვთ კაცობრიობის ისტორიაში.

ამ თვალსაზრისით საქართველო ყველაზე უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფება, რადგანაც იგი ხიდია ევროპისა და აზიის შორის. რაც უფრო მტკიცე იქნება ქართველი ხალხი ნაციონალურად, მით უფრო მეტის ყურადღებით მოეპყრობიან მას მეზობელი და შორეული სახელმწიფოები. თანაც საქართველო ჯერ კიდევ იმდენად არ გამაგრებულა ეროვნულად და სახელმწიფოებრივად, რომ შეიძლებოდეს ეროვნული ბრძოლაზე ხელის აღება.

პირიქით, არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა ეროვნული გრძნობის ხალხში გაღვივება, როგორც დღეს, როდესაც აღმოსავლეთიდანაც, ჩრდილოეთიდანაც და სამხრეთიდანაც ჩვენს ირგვლივ გროვდება ჩვენი ეროვნული მიღწევის წამშლელი ძალა.

ასეთი პერსპექტივები იმ თავიდანვე აგროვებდა ეროვნულად და სახელმწიფოებრივად შეგნებულ ქართულ მასაში ნაციონალურ ენერგიას და ამ პერსპექტივის ნიადაგზე წარმოიშვა უმთავრესად არა სოციალისტური იდეოლოგია. სოციალისტები, ჩვენის აზრით ერთნაირად საშიშნი არიან როგორც კერძო საკუთრების ინსტიტუტისათვის, აგრეთვე და შეიძლება უფრო მეტადაც, ეროვნულ სახელმწიფოსათვის. და სწორედ ამიტომ შეიქმნა საჭირო ეროვნული და კერძო საკუთრების პრინციპების ერთი მეორეში ჰარმონიულად შეზავება. ამ შეზავების გარეშე ცალკე აღებული იდეები კერძო საკუთრებისა და ეროვნებისა რეალურად ძალა დაკარგული არიან და ადვილადაც შეიძლება მათი დამარცხება. ეს გათვალისწინებული აქვს სოციალისტურ იდეოლოგიას, რომელმაც ჩვენს ჰარმონიას დაუპირდაპირა სურვილი სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის ჰარმონიისა. მთელი ჩვენი სიძლიერეც სწორედ ის არის, რომ ჩვენ მივაღწიეთ ამ ჰარმონიას და სოციალისტური იდეოლოგია კი არ გასცილებია ამ მხრივ სურვილის ფარგლებს და დღე დღეზე ერთი მეორეზე უფრო სასტიკ დამარცხებას განიცდის.

ეს ფაქტია და მას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს ქართველი ერის საღად მოაზროვნე ნაწილმა. მხედველობაში რომ არ მივიღოთ ის, რომ მთელი თანამედროვე კულტურა აღმოცენებულია ეროვნულ მომენტზე, საკმარისია მოვიგონოთ ის მარცხი, რომელიც მოუვიდა რუსეთს ეროვნული იდეოლოგიის წაშლით და მეტ ს მეტი გაქანებით ველიკორუსიზმის გარეშე. მოვიგონოთ კადეტების მარცხი და აგრეთვე ის უაღრესად იმპერიალისტურ ნაციონალისტური გზა რომელსაც ამ ბოლო ხანებში ბოლშევიკები დაადგნენ.

და აი ამ დროს, როდესაც მთელი განათლებული და გაუნათლებელი კაცობრიობა და სახელმწიფოები თავის პარტიებს და ხალხებს ეროვნული ფერებით ღებავენ და ეროვნული იდეით ამოძრავებენ, როდესაც ერი ყველგან იქცა სათაყვანებელ კულტად, დაბრმავება იქნებოდა ჩვენი პარტიის იდეოლოგიის გადაცდენა ეროვნული ბრძოლისა და მისწრაფების ფარგლებიდან.

ი. ხანანაშვილი.

ტერმინი „ეროვნული დემოკრატია“

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაარსდა რევოლუციის პირველ ხანაში, როდესაც საზოგადოების ყველა წრეებმა საჭიროდ დაინახეს პარტიულად დარაზმვა მოსალოდნელი ანარქიისაგან თავის დასაღწევად.

უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წელში ჩვენი პარტია ვერ გაჩნდებოდა უცბად, რომ მას წინასწარ ნიადაგი არ ქონებოდა მომზადებული. შეიძლება ითქვას, რომ ახალმა მიმდინარეობამ განაახლა ის ტრადიცია, რომელიც შექმნა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ სამოცდაათიან წლებში.*) ყველაზე უფრო ახლო ჩვენთან ამ ინტელლიგენციის წარმომადგენლებიდან არიან ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. როგორც უკანასკნელმა, ისე განსაკუთრებით პირველმა ბევრი გააკეთეს ჩვენი იდეოლოგიის საფუძვლების დასამყარებლად. მთავარი პრინციპები ჩვენი შეხედულებებისა მრავალ კარდინალური ხასიათის საკითხებზე ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის ნაწერებში.

მარქსისტულ მიმართულებას სწორედ იმის გამო გაუადვილდა ჩვენში თავისი აზრების პროპაგანდა, რომ მას დამზადებული, ლოღიკურად ჩამოყალიბებული იდეოლოგია დაუხვდა. ამისათვის მარქსისტულ მიმართულებას არ დასჭირდა თავის შეხედულებათა სისტემატიზაცია, ვინაიდან აზრთა თანმიმდევრობის ძაფი მათ უკვე ხელში მისცეს ეროვნული იდეოლოგიის შემქნელებმა.

მარქსიზმის მეთოდი მსჯელობისა იყო ჩვეულებრივი მეთოდი ყველა ნიჰილისტებისა. „თქვენ იცავთ ეროვნულ იდეალს, მაგრამ ეროვნული იდეალი არარაობაა. თქვენ იცავთ საზოგადოებრივ კლასსების ურთიერთ შორის თანხმობას საერთო იდეალის განსახორციელებლად, მაგრამ საერთო იდეალი არ არსებობს, კლასსთა თანხმობა ქიმერაა, არსებობს მხოლოდ კლასსიური ეგოიზმი“,—აი დაახლოვებით მეთოდი მარქსისტული პოლემიკისა. ცხადია, ასეთი პოლემიკა შეუძლებელი იქნებოდა, რომ მარქსიზმს წინასწარ არ დახვედროდა საქართველოში ეროვნული მიმდინარეობა სისტემატიურ ფორმაში ჩამოსხმული: ყოველგვარი ნიჰილიზმი მხოლოდ იქ შეიძლება აჩნდეს, სადაც არსებობს ღირებულება, რომლის წინააღმდეგ ის იბრძვის.

ამნაირად ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ეროვნულ დემოკრატიული მიმდინარეობა გაჩნდა მარქსიზმის შემდეგ. სწორია წინააღმდეგი დებულება: მარქსიზმი გაჩნდა საქართველოში, როგორც ოპპოზიცია ეროვნული და დემოკრატიული მიმდინარეობისა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში.

მართალია, არც ჭავჭავაძე, არც ნიკოლაძე თავიანთ ნაწერებში არ ხმარობენ სიტყვას „ეროვნული დემოკრატია“, ვინაიდან მათს დროს არც კი იყო ის საჭირო.

ეს ტერმინი „ეროვნული ან ნაციონალური დემოკრატია“ შემოიღეს ევროპაში, განსაკუთრებით საშუალო ევროპის ქვეყნებში, იმ დემოკრატიული მიმდინარეობის აღსანიშნავად, რომელიც ცდილობს განამტკიცოს ერის არსებობა დემოკრატიის საფუძველზე. ეტიმოლოგიურად რომ გავსინჯოთ სიტყვა „ეროვნულ - დემოკრატიული“, ჩვენ დავინახავთ აქ ერთგვარ ტავტოლოგიას, ვინაიდან სიტყვა „ეროვნული“ და სიტყვა „დემოკრატიული“ ფარავენ ერთიმეორეს. მაგრამ მარტო ეტიმოლოგიით არ ამოიწურება ამ ტერმინის ანალიზი. ორი იდეა არის ამ ტერმინში გამოხატული: 1. ერთია ის, რომ ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა იცავს ერს დემოკრატიული და არა არისტოკრატიული, არა პლუტოკრატიული ან სხვა რაიმე ინტერპრეტაციით. 2. გარდა ამისა ტერმინი „ეროვნულ - დემოკრატიული“ აღნიშნავს, რომ ეს მიმდინარეობა არ ეთანხმება იმათ, ვისაც სიტყვა „დემოკრატია“ ესმის, როგორც ერთი საზოგადოებრივი კლასსი. კლასსი მხოლოდ ნაწილია, რომელსაც არ შეუძლია არსებობა მთელი ერის გარეშე.

ამნაირად ეროვნული ან ნაციონალური დემოკრატია, ეწინააღმდეგება როგორც არა დემოკრატიულ ეროვნულ პარტიებს, ისე დემოკრატიულს, მაგრამ არა, ეროვნულ პარტიებს. ეროვნული დემოკრატია ერთის მხრივ იბრძვის რეაქციონერების წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი უკიდურეს უტოპისტების (სოციალისტების) წინააღმდეგ. რეაქციონერებს ის უპირისპირებს დემოკრატიზმს, უტოპისტებს კი ის უპირისპირებს ეროვნულ იდეას. ამაში შესდგება ამ დაკვირვებულად შერჩეული სიტყვის მნიშვნელობა.

ს. დანიანი.

---

*) იხ. ჩემი რუსული წიგნაკი „საქართ. 1905 წლის შემდეგ“ ქუთაისი, 1914 წ.

გაზ. „სტამბული“ საქართველოს შესახებ.

სტამბოლი. გაზ. „სტამბული“ იანვრის 8 ს № ში სწერს: სომხეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მიერ დაკავებულ პოზიციას. საქართველოს მთავრობა ენერგიულად აქრობს ყოველივე ცდას, რომელიც რესპუბლიკაში აჯანყებისაკენ არის მიმართული. საქართველო ბევრად უკეთეს პირობებშია ვიდრე სომხეთი, თუნდაც იმითი, რომ ბოლშევიკებს საშუალება ექნებათ ბათომს გზით მიიღონ სხვა და სხვა საქონელი და დამოკიდებულება იქონიონ გარეშე ქვეყნებთან. საქართველოს შინაგანი სიმტკიცე, მისი მთავრობის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და ადგილმდებარეობა ხელს უწყობს იმას, რომ საქართველო მედგრად იცავს თავის დამოუკიდებლობას. დასასრულ გაზ. იუწყება, რომ საქართველოში სომხეთიდან არ უშვებენ ლტოლვილებს გარდა პოლიტიკურ მოღვაწეებისა.

უცხოეთში

ბოლშევიკები ემუქრებიან რუმინეთს.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალურ დეპეშას თანახმად რეიტერის სააგენტო იუწყება ლონდონიდან, რომ ბოლშევიკების 12 დივიზია რუსეთ-რუმინეთის საზღვრების სხვადასხვა პუნქტებზე მოგროვდა და ჰუნგრეთის ჯარმა დაიკავა ნეიტრალური ზონა, რასაც რუმინეთი აუწყებს მოკავშირეებს.

ლიტვა-პოლონეთის დამოკიდებულებანი

ლიტვა პოლონეთის ურთიერთობის განსამტკიცებლად ლიტვის დელეგაციამ პოლონეთის მთავრობას შემდეგი პირობები წარუდგინა:

1) პოლონეთმა უნდა აღიაროს ლიტვის ის საზღვრები, რომლებიც აღნიშნულია 1920 წლის 12 ივლისის ხელშეკრულობაში.

2) ლიტვა ხელს იღებს ყოველგვარ შეიარაღებულ გამოსვლებზე პოლონეთის წინააღმდეგ და არც არავის მისცემს ნებას რაიმე სამხედრო ორგანიზაცია მოაწყოს ლიტვაში პოლონეთის მიმართ.

3) ლიტვა აძლევს პოლონეთს თავისუფალ გზას ზღვისკენ.

4) ლიტვა აძლევს სრულს ავტონომიას ყველა იმ წვრილ ერებს, რომლებიც მის მიწაწყალზე სახლობენ.

5) სრული ამნისტია უნდა გამოაცხადოს პოლონეთმა ლიტველებისათვის პოლონეთში და ლიტვამ ლიტვაში პოლონელებისათვის.

6) გენერალმა ჟელიგოვსკიმ და მისმა ჯარმა უნდა დასცალოს შუა ლიტვა.

7) ვილნა უნდა იყოს დედა ქალაქი ლიტვისა.

დეპეშები

ს. დ. ს. ს. ბ. ცნობები.

მოკავშირეთა პოლიცია სტამბოლში.

სტამბოლი. „ჟურნალ დორიანტი“, გადმოგვცემს: სტამბოლში მყოფმა მოკავშირეთა პოლიციის უფროსმა გამოაქვეყნა სავალდებულო დადგენილება ყოველგვარ პოლიტიკურ ყრილობის აკრძალვის შესახებ. იმ გაზეთებს, რომელნიც გამოაქვეყნებენ ცნობას მიტინგის შესახებ, ჯარიმას დაადებენ.

შიმშილი ჩინეთში.

ლონდონი. „ტაიმსი“ ბეჭდავს ცნობებს ჩინეთში არსებულ საშინელი შიმშილის შესახებ. ხალხი ათასობით მიისწრაფის ჩრდილო ჩინეთისაკენ, რათა თავი დააღწიოს დამშეულ პროვინციებს: ლიან-ტუნკს, ნევილისა და გონანს. მეტად გადიდდა სიკვდილის შემთხვევები ბავშვთა შორის.

აზერბაიჯანი და ანატოლია.

სტამბოლი. ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ გადასწყვიტა აზერბაიჯანში გაგზავნოს საგანგებო მისია აზერბაიჯანის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარისათვის საპატიო ხმლის გადასაცემად.

ინგლისი და რუსეთი.

რომი. სტეფანის სააგენტო იუწყება: ლონდონის თათბირის შემდეგ კრასინი გაემგზავრება მოსკოვს სავაჭრო ხელშეკრულობის გამზადებული პროექტით.

კრასინი ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ მოლაპარაკებას გამართავს საბჭოთა მთავრობასთან.

ვრანგელის ჯარი ფრანგეთში.

პარიზი. გენ. ვრანგელი ოფიციალურად უარყოფს საბერძნეთის პრესის ცნობას რუსეთის ჯარის აღმოსავლეთ ფრაკიაში შეჭრის შესახებ.

რენოდელი ბოლშევიზმის შესახებ.

პარიზი. პ. რენოდელი გაზ. „ლა ვი სოციალ“-ში სწერს: ჩვენ არ ვეთანხმებით ბოლშევიკების თეორიასა და პრაქტიკას და მათ შინაურსა და გარეშე პოლიტიკას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი ეს დასრულდება საშინელი კატასტროფით, რომელიც მეტად მძიმე გავლენას მოახდენს საერთო სოციალისტურ მოძრაობაზე.

ევროპის პოლიტიკა და აღმოსავლეთი.

გენ. მალტერე გაზ. „ლა ფრანს მილიტერში“ სწერს: რათ არ უნდა შეადგინონ მოკავშირეებმა აღმოსავლეთში იმგვარივე საოკუპაციო კორპუსი, როგორც ეს არის დასავლეთში—რეინის პროვინციებში. რად არ უნდა მისცენ მოკავშირეებმა წინადადება ქემალს, რომ იგი იყოს უფროსი ამ კორპუსისა ან და აღმოსავლეთში დაარსებულ საერთაშორისო ჟანდარმთა პოლიციისა. ეს დანიშვნა რა თქმა უნდა არაჩვეულებრივი იქნებოდა, მაგრამ ევროპის პოლიტიკა აღმოსავლეთში საშინელი საფრთხის წინაშე სდგას.

აჯანყება ბოლშევიკებში.

ბერლინი. რუსული გაზ. „ვრემია“ იუწყება: კრონშტადში კრეისერ „გრომობოის“ ჯარის კაცები აჯანყდენ და მოკლეს კომისარი და ოფიცერი. ჯავსნოსანმა „პეტროპავლოსკმა“ „გრომობოი“ ჩასძირა მას შემდეგ, როდესაც აჯანყებულმა მატროსებმა უარი განაცხადეს დანებებაზე. ამავე გაზეთის ცნობით პეტროგრადში ბოლშევიკები ახდენენ მასიურ დაპატიმრებას და ხვრეტას.

გერმანია და რუსეთი.

ბერლინი. გერმანული პრესა გადმოგვცემს: გერმანულ მუშათა საყურადღებოდ: ყველა მუშამ, რომელსაც კი გერმანიიდან რუსეთში გადასახლება სურს, თან უნდა წაიღოს კუბო, დანარჩენს იგი იპოვის ადგილობრივ.

რუსეთის ცნობები

ტყვეების გაცვლა-გამოცვლა.

რიგაში გაიხსნა საერთაშორისო წითელი ჯვრის კონფერენცია, რომელშიაც იღებს მონაწილეობას საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი. კონფერენციაზე განიხილავენ საკითხს სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების გაცვლა გამოცვლის შესახებ. პოლონეთი დათანხმდა გაუშვას თავის ტერიტორიაზე რუსეთიდან წასული ტყვეები.

რუმინეთში.

ოდესა. 22—1. რუმინეთის მთავრობამ დაიწყო უცხოელების გადასახლება, უმთავრესად კი რუსებისა. მთავრობა რუმინეთის საზღვრებში აღარ უშვებს ლტოლვილებს საბჭოთა რუსეთიდან. მან გამოსცა დეკრეტი რუსეთიდან გამოქცეულ არტისტების დატუსაღების შესახებ.

პოლონეთი და ერთა ლიგა.

რიგა 22—1. პოლონეთის მთავრობამ განუცხადა ერთა ლიგას, რომ იგი თანახმაა გადასწყვიტოს ვილნოს საკითხი პლებისციტის საშუალებით. ამ მიზნისათვის რიგამ უნდა გააგზავნოს საერთაშორისო რაზმი, რომელმაც უნდა დაიცვას პლებისციტის წესიერათ ჩატარება წინააღმდეგ ჟელიკოვსკისა. რუსეთის ინტერესებს მხედველობაში არ იღებენ იმის გამო, რომ რუსეთმა, თანახმათ პოლონეთთან დადებულ ხელშეკრულებისა, თავისი სახელმწიფოებრივი საზღვარი განსაზღვრა იმ ადგილების აღმოსავლეთით, რომელიც ჟელიკოვსკიმ დაიკავა.

რა უშველის ერის საშინელ გაჭირვებას?

ქართველ ერს მთლიანად ვგონებ არასდროს არ განუცდია ასეთი უზომო ნივთიერი გაჭირვება როგორც დღეს. სურსათ-სანოვაგის ზღაპრული სიძვირე შავი ლანდივით ამართულა მის წინ და კვლავ იზრდება საარაკოთ. სამს ულმობელ ვეშაპს: შიმშილს, სიცივეს და სიტიტვლეს დაუღიათ უზარმაზარი ხახა და ჩანთქას უპირებენ ქართლოსიანთა მოდგმას.

პურის და ფულის უკანასკნელმა სიძვირემ უზომოთ გააძვირა ყველაფერი, საარაკოთ ასწია მუშის ხელფასი. ქაღალდის ფულის ანუ ბონების უხვად გამოცემამ საოცრად დასცა ბაზარზე მისივე ღირება და დაიყვანა თუმნის ფასი ნახევარ და მესამედ კაპიკამდე ე. ი. ასი თუმანი დღეს უდრის წინანდელ ათ შაურს, ან ორ აბაზს. როგორც ვიცით, დღემდი გამოცემულია ჩვენში 13 მილიარდი მანეთის ბონები და კიდევ აპირებენ გამოსცენ 10 მილიარდი მანეთი. ამოდენა უვადო და უგარანტიო თამასუქების (ე. ი. ბონების) გამოშვება ეჭვი არაა, ზღაპრულად დასცემდა შინ და გარედ მათ ღირებას და შექმნიდა საარაკო სიძვირეს.

ამ უზომო სიძვირე-გაჭირვებას ყველაზე მწვავედ განიცდიან მუშა ხალხი, (ასიოდე ბედნიერების გარდა), ქალაქში მცხოვრები წვრილი ხელოსან-მესაკუთრენი, სახელმწიფო და საზოგადო უწყებათა მოხელენი, მასწავლებელნი, სოფლის წვრილი გლეხობა და გვალვა-სეტყვით დამშეული კუთხეები.

გირვანქა პურის ფასი ჩვენს ქალაქებში ავიდა დღეს 300 მანეთამდე, გირვანქა შაქარი 1000 მანეთამდე. არშინი უბრალო ნარმა 1200 მანეთამდე, ურემი შეშა 20.000 მანეთამდე, ფუთი სიმიდის ფქვილი 350 თუმნამდე, უბრალო ჩექმა 2000 თუმნამდე და სხ., ამის შემდეგ ნეტა რარიგათ იჩინოს თავი, ან როგორ არჩინოს ცოლ-შვილი ღარიბმა კაცმა, ან და სახელმწიფო მოხელემ, რომელთა შემოსავალი, ან ჯამაგირი საშუალოდ არ აღემატება თვიურად 700 თუმანს, ე. ი. 3 მანეთს ძველის ღირებით?? აქედან ადვილი გასაგებია თუ რა საშინელი და აუწერელი გაჭირვება სუფევს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში!... ამ უზენაესად შევიწროვებულმა ხალხმა გაჰყიდა ყველაფერი რაც ებადა და რისი გაყიდვაც კი შეიძლებოდა და ახლა მშიერ მწყურვალე და შიშველ-ტიტველი ცოლ-შვილიანად ნატრობენ სიკვდილს, რომ ბოლო მოეღოს ამდენ გაჭირვებას. ამ უმწეოთა რიცხვი საქართველოში მეტად დიდია და მათი მდგომარეობა აუტანელია... აი, ამ გაჭირვება შიმშილის და სიძვირე სპეკულიაციის ნიადაგზე ეცემა ჩვენში ხალხის ზნეობა და იხრწნება მისი სულიერ არსება! იგი იპობა ფიზიკურათაც კი. აი, სწორედ ამ ნიადაგზე გახშირდა ქურდობა, ყაჩაღობა და მოხელეთა შორის მრავალგვარი ბოროტმოქმედებანი, რაც დიდ ზიანს აყენებს მართვა-გამგეობის აპარატს, ხაზინას და თვით რესპუბლიკის არსებობას...

და ხალხის საარაკო შიმშილი და გაჭირვება ხდება არა რომელიმე ხრიოკ ან ომით განადგურებულ ქვეყანაში, არამედ ბუნებით მეტად მდიდარ, ფრიად ნაყოფიერ, მადნებით სავსე და აუარება ქონება დაგროვილ საქართველოში;..

აქ უნებლიეთ მაგონდება ბელგიის ცნობილი სოციალისტის ჰიუსმანსის სიტყვა, რომლითაც მან მიმართა თფილისში მუშათა ორგანიზაციებს გამოთხოვების დროს. მან გაიყვანა პარალელი გერმანელთაგან განადგურებულ ბელგიასა და მდიდარ საქართველოს შორის და აღნიშნა, რომ იქ ბელგიაში სოციალისტებმა და პროლეტარებმა განგებ არ დასცეს ბურჟუაზიული მთავრობა, რომ არ დაეღუპათ ქვეყანა; რომ იქ სამი მილიონი მუშა-პროლეტარი გაორკეცებული ენერგიით მუშაობს ბურჟუების მაღაზიებსა და ქარხანა ფაბრიკებში და ქმნის ქვეყნის სიმდიდრეს; რომ იქ აყვავებული მეურნეობაა და ფრიად განვითარებული ინდუსტრია; რომ იქ უკვე მედგარი შრომით შეივსეს დანაკლისი და ცხოვრება ჩააყენეს თავის ნორმალ კალაპოტში. საქართველოში კი, სოციალისტების თაოსნობით მუშის მცონარეობით და შრომის უნარის დაცემით იფლანგება წინად დაგროვილი ქონება, იღუპება დიდი ბუნებრივი სიმდიდრენი, ეცემა მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, ჩნდება სანოვაგეთა სიძვირე და ლატაკდება ხალხიო... „საჭიროა მედგარი მუშაობა, საჭიროა მაღალი ტეხნიკა და ინდუსტრიის განვითარება თუ კი გსურთ შეინარჩუნოთ მოპოვებული უფლებანი და ფიზიკური არსებობაო“ დასძინა შეგნებული ევროპიელი. მუშათა შორის ზედმეტმა ნაყოფიერებამ და პროლეტარ სოციალისტების ბურჟუაზიასთან ერთად ერთგულმა თანამშრომლობამ ჩაიდინეს ბელგიაში ნამდვილი სასწაული და ორ წელიწადში აღადგინეს განადგურებული ქვეყანა. აქ კი საქართველოში, საწუხაროდ, გაკეთების ნაცვლად, მხოლოდ დავფლანგეთ მილიარდებით დაგროვილი ცარიზმის ნაშთი ქონება და კერძო მესაკუთრეთაგან ჩამორთმეული აუარება საქონელი და სიმდიდრენი, შევქმენით საარაკო სიძვირე, სიმშილ-სიტიტვლე და ქართველი ერი მივიყვანეთ დაღუპვის კარამდე... აი, ჩვენი საქმიანობა!...

სწორეთ ეს უცნაურობა ნახეს ჩვენში ევროპის განათლებულმა სოციალისტებმა და ეს ამხილეს ჩუმათ და საჯაროთ ჩვენს მუშებს და მათ ბელადებს. კარგი იქნება, რომ აზიელმა მოწაფეებმა შეიგნონ ევროპიელ ოსტატთა ბრძნული მხილებანი და მიჰყვენ მათ გონივრულ რჩევა-დარიგებას.

სამი წლის ექსპერიმენტებისა და ჩრდილოეთის მავნე მიმბაძველობის შემდეგ ვგონებ, დროა მოვიდეთ გონს, ვუსმინოთ ჩვენს განათლებულ სტუმრებს, ამ ევროპის სოც.-დემოკ. და პროლეტართა ბელადებს, გადავხედოთ თვით ევრ. და ფინანსიურ ეკონ. პოლიტიკაშიაც დავადგეთ იმავე სწორ გზას, რასაც ადგანან დღეს ჩრდილო ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და გერმანია, ეს დიდი კულტურის, ინდუსტრიის და შეგნებულ პროლეტარიატის ქვეყნები. ეს გზა, ეს ნივთიერი და ფინანსიური აშენებლობა არის ერთად ერთი სწორი, სალი და ჭეშმარიტი სავალი, სხვა ყველაფერი კი ყალბია, უნიადაგო და ხალხის დამღუპველი, რაც აშკარა დაგვანახა ჩვენმა და რუსეთის მავნე გამოცდებმა. ერთი სიტყვით, უნდა შეიცვალოს ძირიან-ფესვიანად ჩვენი ფინანსიურ-ეკონომიური სისტემა და მოქმედების გეგმა. ამას გვიკარნახებს სალი ლოღიკა, ევროპა-ამერიკის მაგალითები და თვით ქართველი ერის უზენაესი ინტერესები.

მაშ ჩვენმა მთავრობამ უნდა შეაჩეროს, ან ფრიად შეამციროს მაინც, ბონების ბეჭვდა, შეამოკლოს დიდათ სახელმწიფოს ხარჯები, აკრიფოს დარჩენილი გადასახადები, გააძლიეროს ექსპორტი, ე. ი. ჩვენი საქონლის უცხოეთში გატანა და ამავე დროს ფრიად შეამციროს იმპორტი ე. ი. უცხოეთიდან საქონლის შემოტანა, რაც დიდათ სცემს ჩვენს ვალუტას და ქმნის სიძვირეს. უმთავრესად კი უნდა შეიქმნას შრომის კულტი და დისციპლინა და ფრიად გადიდდეს შრომის ნაყოფიერობა, ურომლისოდ ვერ იხეირებს ვერავითარი მრეწველობა. ამასთანავე მთავრობამ უნდა მოიწვიოს უცხო კაპიტალი და ყოველივე საშუალებით უნდა შეუწყოს ხელი კერძო ინიციატივას და ინდივიდუალურ წარმოებას სხვა და სხვა დარგის მეურნეობა-მრეწველობის შექმნა-განვითარებაში, განსაკუთრებით კი ასეთ დარგებში, რასაც ყველაზე მეტად საჭიროებს ამ ჟამად ჩვენი სამშობლო. ასეთია: ბამბის და ჭარხლის მოყვანა, შაქრის დამზადება, საპნის და ასანთის კეთება, ტყავეულობის გამოქნა და ფეხსაცმელების შეკერვა, მეტადრე კი ბამბა-მატყლისა და პარკისაგან ძაფების კეთება ევროპიული წესით, მათი ფერადებით შეღება და მათგან ქსოვილების, ე. ი. ნარმის ჩითეულის, შალეულობის და აბრეშუმეულის დამზადება, რაც შეიძლება ბლომად, რომ ამ საქონლით არამც თუ გავაძღოთ შინა ბაზარი, არამედ შევიძლოს საკმაოდ გატანა უცხოეთშიაც კი, მეტადრე ამიერ და იმიერ კავკასიის რესპუბლიკებში, სადაც, შაქრის ქსოვილების მეტად დიდი მოთხოვნილებაა და ნაცვლად შემოვიტანოთ იმ ქვეყნებიდან პური, ქერი, სიმიდი, კარტოფილი, ზეთი, ნავთი, მარილი, ოთუხები და სხ.

მხოლოდ ასეთი რამეების შექმნით შევიძლებთ არამც თუ შევაჩეროთ ეს საარაკო სიძვირე, არამედ თან და თან მოვსპოთ იგი და მით ქართველი ერის ცხოვრება ჩავაყენოთ ნორმალ კალაპოტში.

ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან საქმეში მთავრობას უნდა დაეხმარონ მედგრათ ჩვენი პრესა, ერობები, ქალაქთა თვითმართველობანი, და კოოპერატივთა კავშირები, უნდა დაეხმარონ აგრეთვე თვით მუშა ხალხი მათი ორგანიზაციები და შეგნებული საზოგადოება. ეს უდიდესი საქმეა და ამაზე უნდა იყოს დღეს მიქცეული მთავრობის და მთელი ერის უმთავრესი ყურადღება, თუ კი გვწადია გადურჩეთ ფინანსებისა და ნივთიერ გაკოტრებას, განადგურებას, რაც თავის მხრივ დასცემს ჩვენს რევოლიუციით მონაპოვარს, ჩვენს პოლიტიკურ თავისუფლებას, დემოკრატიულ რეჟიმს და ჩაგვფლავს კიდევ უარეს მონობაში, ვინემ ვიყავით შავ-ბნელ ცარიზმის დროს.

ვუფრთხილდეთ ყველამ ამ მოსალოდნელ საშინელებას!..

ახლა განვიხილოთ, გვაქვს თუ არა ამ ფაბრიკატების დასამზადებლად შესაფერი მასალა, ან შევვიძლია თუ არა შევქმნათ ეს მასალა?

ჩვენ არა გვაქვს ჭარხალი შაქრისათვის და ბამბა ფართლეულისათვის, საკმაოდ მოგვეპოვება კი მატყლი და აბრეშუმის პარკი. მაგრამ ჩვენს კურთხეულ საქართველოში ბლომათაა ისეთი მიწები, სადაც შევვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მილიონი ფუთი შაქრის ჭარხალი და ბამბა. კახეთი, ქიზიყი, ბორჩალო, ყარაიაზი, იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი,—აი, ის მხარეები, სადაც ჩვენ ადვილათ შევვიძლია შევქმნათ ფართოდ ბამბის და ჭარხლის პლანტაციები, დავამზადოთ აუარება ნედლი მასალა. ზემო იმერეთის მეტი ნაწილი, რომელიც ხშირად იმშევა გვალვისა და მიწის სიმწირის გამო წარმოადგენს საუკეთესო ჰავა ნიადაგს ბამბის კულტურისათვის. მისი ეწერი ფერდობები და ხშირი ზენა ქარები ქმნიან საუკეთესო ბამბას, რომლის მოყვანა ერთ დროს საკმაოდ იყო იქ განვითარებული. ამ რიგათ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ადვილათ შეიძლება დაეთმოს ბამბის კულტურას ათი ათასი ქცევა მიწა და ამდენივე ადგილი კიდევ მიეცეს ჭარხლის პლანტაციებს.

ერთი ქცევა კარგი დამუშავებული მიწაზე მოდის საშუალოდ 20 ფუთი გაწმენდილი ბამბა; მაშ ასიათას ქცევაზე მოვა ორი მილიონი ფუთი, რაც შეადგენს დღეს სულ ცოტა ოცი მილიარდის ქონებას. ამოდენა ბამბა არამც თუ შემოსავს მთელს საქართველოს, არამედ ადვილათ შევვიძლია გავიტანოთ უცხოეთში ორი წილი ამ ბამბისა ძაფის და ფართლეულის სახით, ამის ნაცვლად კი შემოვიტანოთ ჩვენთვის საჭირო საქონელი.

აი, ჩვენი სიმდიდრის ერთი დიდი და უშრეტი წყარო!

ახლა შაქრის შესახებ; ერთი ქცევა კარგათ დამუშავებული მიწა იძლევა საშუალოდ 800 ფუთ ჭარხალს. ამოდენა ჭარხლიდან კი შეიძლება დამზადდეს სულ ცოტა 50 ფუთი შაქარი. ამ რიგათ ასიათასი ქცევა ჭარხლის პლანტაციები მოგვცემს წლიურად ხუთ მილიონ ფუთ შაქარს, რაც ეღირება დღევანდელი საფასით სულ ცოტა 50 მილიარდი მანეთი. ორი მესამედი ამ შაქრისა თამამად შევვიძლია გავიტანოთ უცხოეთის ბაზარზე, სადაც შაქრის შიმშილია, იქიდან კი შემოვიტანოთ ყველაფერი რაც გვინდა.

ამოდენა ბამბა და ჭარხალი დამუშავდება თანდათანობით რამდენიმე წლის განმავლობაში.

— აი, მეორე დიდი და უშრეტი წყარო ჩვენი სიმდიდრისა. ეჭვი არაა ამაში.

მესამე და მეოთხე ეროვნული სიმდიდრის უშრეტი წყაროებია მატყლი და აბრეშუმი, რომელთა წარმოება ადვილად შევვიძლია გავაფართოვოთ და დავამზადოთ ყოველ წლიურად აუარება შალეული და ფარჩეული, მით გავალაღოთ არამც თუ მარტო შინა ბაზარი, არამედ ბლომათ გავიტანოთ უცხოეთში და ნაცვლათ შევიძინოთ საჭირო სურსათი.

უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა სოფელსა და ქალაქს შორის. სოფელი უნდა აწვდიდეს ქალაქს სურსათ-სანოვაგეს, ხე-ტყეს და შეშა-ნახშირს, ქალაქი კი ნაცვლად უნდა აძლევდეს სოფელს, რაც მას ჭირდება, ე. ი. ფართალს, საპონს, ძაფს, ასანთს, ნავთს, ჩაი-შაქარს, სამუშაო იარაღს, გოგირდ-შაბიამანს, სააფთიაქო წამლებს და სხ. თუ ქალაქი მიაწვდის სოფელს იაფად საჭირო საქონელს, მაშინ სოფელიც მისცემს მას იაფად თავის სანოვაგეს; პირიქით, თუ ქალაქი გააძვირებს ფაბრიკატებს, სოფელიც გააძვირებს თავის ჭირნახულს. ეს აშკარაა. დღეს თუ ჩვენი გლეხი ჰყიდის ერთ ფუთ სიმიდს სამას თუმნად და ერთ ურემ შეშას 2000 თუმნად, იმიტომ რომ ამ ფულით მას შეუძლია იყიდოს მხოლოდ ერთი წუღა, ან რამდენიმე ადლი ნარმა, რაც წინად ღირდა მხოლოდ ერთი ან ორი მანეთი.

მაშ აშკარაა ქალაქის ნაწარმოებთა სიძვირე იწვევს სოფლის ნაწარმოებთა ფასების აწევას. ორივე ერთად კი იწვევენ მუშა ხელის გაძვირებას, სპეკულიაციას და საერთო გაჭირვებას, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე გადამეტებული სახელმწიფო ხარჯები, ზედმეტი იმპორტი, და ბონების უზომო გამოცემა. ასეთი ფინანსიურ-ეკონომიური მსვლელობა კი გვაქანებს თავდაღმართისკენ ნაპრალში გადასაჩეხად.

ახლა ვიკითხოთ: ვის შეუძლია შექმნას და აღორძინოს ჩვენში როგორც ბამბის და ჭარხლის მოწევა, ისე ფაბრიკ-ქარხნებში შაქრის და ფართლეულობის დამზადება?

სოფლებში ჩვენ გვყავს საკმაო მუშა ხელი როგორც მამაკაცები, ისე ქალები და ბავშები, რომელსაც ადვილად შეუძლიათ შექმნან და განავითარონ ბამბის და ჭარხლის წარმოება, თუ კი ეყოლათ მცოდნე ხელმძღვანელები და ექნებათ საჭირო დახმარება ცოდნითა და თესლით.

ხოლო ქალაქებში გვყავს აუარება უსაქმო ხელი ინტელიგენტთა და ნახევარ-ინტელიგენტთა სახით, რომლებიც დღეს განიცდიან დიდ ნივთიერ გაჭირვებას, ამავე დროს მეტ ბარგათ აწვებიან მშრომელ ხალხს.

ამათი რიცხვი ათიათასობითაა. რესპუბლიკის ინტერესი მოითხოვს მივცეთ ამათ სამუშაო. აი, ამ პირებიდან შეგვიძლია შევქმნათ საწარმოვო კოოპერატივები და დავაბინაოთ ისინი სამუშაოთ აღნიშნულ ქარხანა-ფაბრიკებში შაქრის, ძაფის და ფართლეულის დასამზადებლათ.

ხოლო ამისათვის საჭიროა თაოსნობა, თანხა, მანქანები და სპეციალისტები. აი, ამ დიდ საქმეს ფართოდ უნდა დაეხმარონ ახლავე როგორც ჩვენ მთავრობა და ერობები, ისე ქალაქთა და კოოპერატივთა კავშირები, აქ უნდა მიეცეს ფართო ასპარეზი კაპიტალს და კერძო თაოსნობას. საჭირო მანქანები და სპეციალისტები კი უნდა გამოვიწეროთ უცხოეთიდან, ე. ი. იტალიიდან, საფრანგეთიდან, ჩეხიიდან, ინგლისიდან, ბელგიიდან და გერმანიიდან. ასპარეზი ფართოა და არჩევანი დიდი, მხოლოდ საჭიროა მთავრობისა და საზოგადო უწყებათა მხრივ შესაფერი თაოსნობა, ხელის შეწყობა და საქმიანობა. ჩვენი ხსნა დღეს ბამბის, ჭარხლის მატყლის და პარკის მოწევაშია და შაქარ ფართლეულის ქარხანა—ფაბრიკებშია. მათზე უნდა იყოს მიქცეული მთავრობის და მთელი ერის უმთავრესი ყურადღება ამათ შესაქმნელად არ უნდა დავერიდოთ არავითარ ხარჯებს და შრომას; ამაშია ქართველი ერის გადარჩენა დაღუპვისაგან!

ახლა მსურს მივაქციო მკითხველის ყურადღება ერთ სამნიშვნელო მოვლენას: არც ერთ ჩვენსავით პატარა ქვეყანაში არაა ამდენი სამინისტრო დეპარტამენტები და საზოგადო დაწესებულებანი, რაც საქართველოში. ეს უწყებანი სავსეა მოხელე ქალ-კაცებით, მათი რიცხვი აღწევს თითქმის 80.000-დე. ამ უწყებათა და მოხელეთა მეტის-მეტი სიმრავლე ფრიად ართულებენ სახელმწიფოსა და საზოგადოებათა მექანიზმს, ხლართავენ და ამძიმებენ მათ მოქმედებას, ამავე დროს კი მძიმე ტვირთად აწვებიან მშრომელ ხალხსა და ხაზინას, საიდანაც უნაყოფოთ იხარჯებიან ამ მოხელეთა უსარგებლო ლაბკარზე რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი.

ამ მავნე მოვლენას უკვე მიაქცია ყურადღება მთავრობის თავმჯდომარემ და გამოსცა შესაფერი ბრძანება უწყებებში მოხელეთა შტატების შესამცირებლად. მე კი ვიტყოდი, რომ დიდათ მოიგებდა ჩვენი რესპუბლიკის მართველობა და საზოგადო უწყებანი, რომ შეგვეძლოს ახლავე დავითხოვოთ სამსახურიდან ყველა მოხელეთა ორი მესამედი მაინც, რომ მოვიშოროთ თავიდან ეს მეტათ მძიმე ბალასტი და დავტოვოთ სამსახურში მხოლოდ უფრო მშრომელი საქმიანი და გამოცდილი პირები ხოლო სამჩნევად უნდა გავაუმჯობესოთ მათი ნივთიერი მდგომარეობა ამით დიდი სალავათი მიეცემა სახელმწიფო ბიუჯეტს და სამჩნევად გამარტივდება ყველა უწყებათა მოქმედებანი.

აი, ეს შტატ გარეშეთ დარჩენილი პირები, რიცხვით არა ნაკლებ 50.900—სა, მოგვცემდა საუკეთესო რაზმებს, ზემო აღნიშნული მწარმოებელი კოოპერატივთა დასაარსებლათ და ქარხანა-ფაბრიკებში სამუშაოდ. ამათგან შევქმნიდით ნებაყოფლობით და ძალდაუტანებლივ ერთგვარ შრომის ლაშქარს; ამით კი ამ ყოფილ მოხელეებს მიეცემოდა დიდი ნივთიერი სარგებლობა, დაიხწევენ თავს დღევანდელ შიმშილ—გაჭირვებას და მათი შრომაც იქნებოდა ასწილ უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი ქართველი ერისათვის, ვიდრე დღეს.

აი, ამ მოვლენას უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ჩვენმა ახალგაზრდა მოხელეებმა, რომელთაც ერეკებიან დღეს სხვა და სხვა უწყებათაგან შტატების შემცირების გამო. მათი ხსნა საწარმოვო კოოპერატივთა დაარსებაშია, სხვა და სხვა სახელოსნოების შექმნაში და შაქარ ფართლეულის ქარხანა—ფაბრიკებში; ამაშია სწორედ ჩვენი სამშობლოს ხსნაც ფინანსიურ-ეკონომიურ სიკოტრე-კრახისაგან...

მაშ, ბატონებო, მედგარი შრომა, ტეხნიკით აღჭურვა, თაოსნობა და შეგნებული საქმიანობა, თუ კი გვსურს გადავარჩინოთ როგორც ჩვენი თავი, ისე ჩვენი სამშობლო მოსალოდნელ დაღუპვას და განადგურებას!...

სამსონ ქვარიანი.

არა-სოციალისტური პარტიების კონფერენცია.

იანვრის 25-ს დილით მუშაობა სწარმოებდა კომისიებში.

საღამოს კრებაზე, რომელზედაც თავმჯდომარეობდა ალ. ასათიანი, ვეშაპელმა წაიკითხა მოხსენება საქართველოს საგარეო მდგომარეობის შესახებ.

იანვრის 26-ს სხდომაზე საშინაო პოლიტიკის შესახებ მომხსენებელია ბ. სპ. კედია.

შემოწირულება.

კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ოჯახის სასარგებლოდ არა სოციალ. კონფერენციაზე:

1) შალვა ქარუმიძე 2000 მ. 2) იას. ჯავახიშვილი 125. 3) ხერხეულიძე 240 მ. 4) ნ. ჟანდიერი 200 მ. 5) იოსებ მაჭავარიანი 2000 მ. 6) ა. ჯავახიშვილი 300 მ. 7) ქსკინა ნაიშვილი 200 მ. 8) გოთუა 500 მ. 9) ა. ცინცაძე 1000 მ. 10) ა. შანშიაშვილი 1000 მ. 11) ირ. ჭანიაშვილი 200 მ. 12) დავით კორაშვილი 100 მ. 13) გლახისგან 9—50 მ. 14) სეს. ლეჟავა 500 მ. 15) მათხოვრისგან 100 მან.

ახალი ამბები

მთავრობაში.

— ბრიტანეთთან დადებულ ხელშეკრულების დამტკიცება. მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება ფინანსთა მინისტრისა იმ ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დასდო მან ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკთან მილიონ ნახევარ გირვანქა სტერლინგის სესხის შესახებ, დაამტკიცოს ხელშეკრულება და გადასცეს ის განსახილველად დამფუძნებელ კრებას.

სამინისტროებში

— გარეშე საქმეთა სამინისტრო. აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ ბიუროს ორგანო „კომუნისტ“ში 1921 წლის 10 იანვარს №7 დაბეჭდილია წერილი სათაურით „ბოროტი პოლიტიკა“, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია, რომ ვითომც „მოძრავი შემადგენლობა, აზერბაიჯანში დაკავებული, თანახმათ შეთანხმებისა იმყოფება აზერბაიჯანის მთავრობის განკარგულებაში იჯარის უფლებით.“

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება გასაბათილებლად ზემორე ჩამოწერილისა იუწყება; რომ ეს ცნობა მოკლებულია ყოველ საფუძველს და სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. საქართველოს მთავრობას რ. ს. ფ. ს. რ. ან ა. ს. ს. რ. საიჯარო სარგებლობისათვის არავითარი მოძრავი შემადგენლობა არ გადაუცია. სამარშრუტო შემადგენლობანი გაგზავნილი იყო აზერბაიჯანს ნავთის პროდუქტების მოსატანათ საქართველოში 1920 წლის 14 ნოემბრის შეთანხმების ძალით. რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობებმა თვითნებურად ყოველ უფლების გარეშე დააკავეს საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი სამარშრუტო მატარებლების 240 ცისტერნი და 12 ორთქლმავალი და იმავე დროს დაიჭირეს მათი საბრიგადო შემადგენლობა.

— მეაბრეშუმეობა. თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა საფრანგეთის მეაბრეშუმეთა საზოგადოების წარმომადგენლებთან საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის დადებულ ხელშეკრულების შესახებ მთავრობამ დაადგინა: მოიწონოს ხელშეკრულება და გადასცეს იგი დამფუძნებელ კრებას განსახილველად.

— მომარაგების მინისტრის ამხანაგი. მთავრობამ დაადგინა: დანიშნოს მომარაგების მინისტრის ამხანაგად ვ. გურდელიძე.

— ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრმა კანდელაკმა საქართველოს სახელმწიფო ბანკის საბჭოს თავმჯდომარეს აცნობა, რომ ბანკის საბჭოს წევრად ფინანსთა სამინისტროდან დანიშნულია ვ. ჯაფარიძე.

— „ჩემო“-ს შეწირულებანი. ჭიათურის შავი ქვის სატრანსპორტო საზოგადოება „ჩემო“-მ აცნობა ფინანსთა მინისტრს თავის დადგენილების შესახებ შესწიროს სხვა და სხვა დაწესებულებას შემდეგი თანხა: 1) მილიონი მანეთი ფრონტის სასარგებლოდ. 2) მილიონი მანეთი თავდაცვის მთავარ კომიტეტის განკარგულებისათვის, 3) ხუთასი ათასი მანეთი 1917 წლ. 12 დეკემბრის ისტორიულ დღისა და ეკატერინოფელდის ბრძოლის აღსანიშნავად სახალხო ძეგლის აგებისათვის საჭირო ფონდის შესაქმნელად. ეს ფულები აღნიშნულმა საზოგადოებამ უკვე გადასცა თბილისის ხაზინას ფინანსთა მინისტრის მიმდინარე ანგარიშზე ჩასარიცხად.

— იუსტიციის სამინისტროში. იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ვ. ქუთათელაძე სამსახურის საქმეების გამო ქუთაისში გაემგზავრა.

ტფილისის საოლქო სასამართლოს საერთო ყრილობამ თებერვლისათვის შემდეგი ადგილობრივ გასული სესიები დანიშნა: 1-დან 5 თებერვლამდე თელავში, 7 დან 12 მდე სურამში, 14-დან 19 დე გორში, და 21 დან 26 მდე დუშეთში და ახალციხეში. ყველა აღნიშნულ ქალაქებში ახალციხის გარდა საქმეების გარჩევა მოხდება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

— შრომის სამინისტროსი შტატების გადიდება. შრომის სამინისტრომ შეიტანა მთავრობაში პროექტი სამინისტროს შტატების გადიდების შესახებ. განზრახულია ინსტრუქტორთა განყოფილებისა და ჭიათურაში და ფოთში შრომის კომისარიატის დაარსება. შრომის სამინისტრომ აცნობა ბათომის შრომის კომისარს კვარცხანის სპილენძის გადამდნობ ქარხანაში სამინისტროს რწმუნებულის დანიშვნის საჭიროების შესახებ. რწმუნებულები დაინიშნებიან იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომლებსაც მუშათა ადგილობრივი ორგანიზაციები აირჩევენ. დროებით სამინისტროს რწმუნებულად შრომის სამინისტრო ამტკიცებს ბათომის შრომის კომისარიატის მიერ წარმოდგენილ კანდიდატს კახიძეს. სამინისტროსთან არსებულმა შრომის დაჯილდოების ბიურომ დაამუშავა პროექტი მეთამბაქოეთა შრომის დაჯილდოების შესახებ. ამ ჟამად მუშავდება პროექტი მებეჭდავეთა, ქალაქთა კავშირისა და არსენალის მუშების შრომის დაჯილდოების შესახებ.

— დამფუძნებელ კრებაში. დამფუძნებელი კრების კომისიებმა მოიწონეს დამფუძნებელი კრების პლენუმის სხდომაზე შესატანათ პროექტი გზათა მიმოსვლის სამინისტროსი სამგზავრო ბილეთებზე წითელი ჯვრის სასარგებლოდ არსებულ გადასახადის გადიდების შესახებ. მომავალში წითელი ჯვრის სასარგებლოდ გადაიდება: 1-კლ. ბილეთიდან-15 მ. მე 2-ე კლ. 10 მან. მე 3-ე კლ. -5 მან., ეს თანხა ბილეთის ფასში შედის.

სხვა და სხვა

— 22 იანვარს დავით გრიგოლის ძის ერისთოვის ბინაზე მცხოვრები ცხნეთის ქუჩ. სახ. № 8 მოხდა ქურდობა ქალის ოქროს საათის ღირებულის 20000 მან. მიღებულ ზომებით სისხლის სამართლის მილიციის მოხელეების მიერ საათი იქნა მოძებნილი სტეფანე გრიგორის ძის სტეპანიანცის მაღაზიაში სასახლის ქუჩ. ეზოში № 5, რაც ჩამოერთვა და ჩაბარდა პატრონს. კვლევა-ძიებით დამტკიცდა, რომ საათი მოიპარა ნათესავმა განმცხადებელისა ნიკოლოზ ერისთავმა, რომელიც წავიდა ჭიათურაში.

თანახმად მომართვისა ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის მიმართ სისხლის სამართლის მილიციის მოხელეების მიერ იანვრის 25 ს დაპატიმრებულია შალვა მიხეილის ძე შილაკიანცი, რომელიც ემალებოდა სასამართლოს და განაჩენს, ირიცხება ქუთაისის მე 2 უბნის სასამართლოს გამომძიებელზე.

— სახელმწიფო დრამის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „სამშობლო“ დ. ერისთავისა. პიესა ამ სეზონში პირველად იდგმის მთელი დასის და თანამშრომელთა გაძლიერებული გუნდის მონაწილეობით. რეჟისორობს პიესას კ. ანდრონიკაშვილი. ძველი ტფილისის დეკორაციები დახატულია ვალ.

გაფრთხილება!
ხილეულ წყლების
ქარხანა
გ. ლაღიძის
სთხოვს მომხმარებელთ მიაქციონ ყურადღება ფირმის ეტიკეტს, რადგან გამრავლდა მრავალი მიმსგავსება.

იანვარი
27
ხუთშაბათი
ძვ. სტ. 14 იანვარი
მთვარე 19 დღისა
მზე ამოდის 7—19
ჩადის 5—08
მოწ. სწ. ლ. დ. ჩ. და ქალწ. ნინო ქართვ. განმ. 335 წ. ასაფლავია სიღ. მაზ. ბოდბეს მონასტ.
27 შემდეგი უქმე 30 იანვარი 338.
ოპერა: ,,ბოგემა''.
დრამა: „სამშობლო“ ახალი დადგმა

ა. ს. ლორთქიფანიძის
სავაჭრო საგენტო-საკომისიო
კონტორაში
(დამფუძნებელ კრების ქ. № 5, მეორე სართულში თბილისის კოოპერატივთა კავშ. გვერდზე).
მიღებულია შემდეგი ახ. საქონელი:
ხერხები-ჩირიდაბირები, ფანქრები, ცხვირსახოცები და ჯიბის დანები
იყიდება ბითუმად, შეიძლება ნაწილობრივაც შეძენა.

სიდამონ—ერისთავის მიერ. პიესას გაიმეორებენ მხოლოდ ჯარისა და გვარდიისათვის.

მომავალი პრემიერისათვის რეჟისორი ალ. ახმეტელი ამზადებს ა. ცაგარელის კომედიას ,,რაც გინახავს, ველარ ნახავ'' რომელიც სრულიად ახალი დადგმით იქნება წარმოდგენილი. პიესა, როგორც გადმოგვცეს, მომავალ კვირას იქნება წარმოდგენილი. მხატ. ხიდამონ—ერისთავი ამ პიესისათვის ამზადებს ახალ დეკორაციებს.

— საქართველოში მყოფ საფრანგეთის უმაღლეს კომისარის განცხადება. საქართველოში მყოფი საფრანგეთის უმაღლესი კომისარი და საფრანგეთის სამხედრო მისია აცხადებენ: ტფილისში მყოფი საფრანგეთის მმართველი პირები კატეგორიულად უარყოფენ ცნობას იმის შესახებ, თითქოს საფრანგეთს სურდეს გამოიყვანოს კუნძულ ლემნოსზე მყოფი ყუბანელები რაიმე მოქმედებისათვის კავკასიაში ან სამხრეთ რუსეთში. ამის შესახებ გავრცელებული ხმები ერგვარი პოლიტიკური მანევრია. კონსტანტინოპოლში მყოფ საფრანგეთის მართველ პირების ერთ-ერთ სურვილს შეადგენს დააბრუნონ ყუბანელები რაც შეიძლება საჩქაროდ თავის სამშობლოში და ან სხვა ქვეყანაში, რათა მათ ექნეთ საშვალება მშვიდობიან მუშაობის დაწყებისა.

სასამართლოში

იანვრის 22 ტფილისს საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილებაში გაირჩა საყურადღებო საქმე, ძმათა-ზეინალოვების ფირმის საჩივარი ქალაქის გამგეობასთან რეკვიზიციის წესით ბინის ჩამორთმევის შესახებ.

საქმის ვითარება შემდეგია:

ივნისის დამლევს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა ჩამოერთვას ზეინალოვებს მათი მაღაზიის ნახევარი განოვის ქუჩაზე მანთაშევის სახლში, №3, სადაც მათ ქონდათ სავაჭრო საკომისიო კონტორა, რათა შიგ ჩაესახლებიათ ქემჩუჯინის და სერებრიაკოვის საბანკო კონტორა და კიდეც ჩაასახლეს მილიციის საშვალებით. ზეინალოვები აწოდებდნენ მთავრობასა და საზოგადო დაწესებულებებს ნავთის ნაწარმოებს, ხოლო საბანკო კონტორა უეჭველია სპეკულიაციას აწარმოებდა.

ზეინალოვებმა განასაჩივრეს ქალაქის გამგეობის დადგენილება ოლქის სასამართლოს ადმინისტრატიული განყოფილებაში, და სასამართლომ ეს დადგენილება გააუქმა ყოველი მისი შედეგებით იმ მოსაზრებით, რომ თუმც ქალაქის თვითმმართველობას ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილებით 1917 წ. 24 ნოემბრის თარიღით უფლება ეძლეოდა სავაჭრო დაწესებულებათა ბინის რეკვიზიციისა კერძო პირთათვის, მაგრამ ამ რეკვიზიციას მაშინ აქვს მნიშვნელობა და მაშასადამე მართებულია. როცა მეორე პირველის მჯობია, როცა ის უფრო სასარგებლოა საზოგადოებისათვის.

სასამართლოს მოსაზრება, რასაკვირველია, სრულებით სამართლიანი იყო, და კიდევაც გამართლდა მოკლე ხანში, მთავრობამ დაადგინა ყველა საბანკო კონტორები დაკეტილიყო, როგორც სპეკულიაციის მწარმოებელნი და მათი პატრონები გაძევებულ იქნენ საქართველოს საზღვრებიდან, მათ შორის ქემჩუჯინი და სერებრიაკოვი. ზეინალოვებს მათი მაღაზიის ნახევარი უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ აქ მოხდა გაუგებრობა. ყველა ბინები საბანკო კონტორებიდან, თუ სხვა სპეკულიანტებიდან დაცლილი აღებულ იქნა ანგარიშში და უნდა ყოფილიყო მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებაში. ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილება მოითხოვა მთავრობის თავმჯდომარისაგან თავის განკარგულებაში ეს თავისუფალი ბინები; ამაში მოჰყვა ზეინალოვების მაღაზიის ნახევარიც საბანკო კანტორისაგან დაცლილი. ეს ბინა უნდა დაბრუნებოდა პირველყოფილ არენდატორს, ზეინალოვებს საოლქო სასამართლოს განაჩენით, რომლის ასლი ჩაბარებული ჰქონდა ქალაქის გამგეობას წესისამებრ, მაგრამ ქალაქის გამგეობამ ეს განაჩენი უყურადღებოდ დასტოვა. საბინაო განყოფილების გამგე წევრი ა. პაპავას მოხსენებით ქალაქის გამგეობამ ეს ბინა დაუთმო ივანე კილაძეს მისი სტამბისთვის, რომელიც ქუთაისიდან უნდა ჩამოტანილიყო ტფილისში. სრულებით შეუწყნარებელია ქალაქის თვითმართველობის მიერ სასამართლოს ავტორიტეტის უკუგდება და საკვირველია ესოდენ მზრუნველობის გამოჩენა ი. კილაძის სტამბისადმი, როცა ტფილისში სრულიად საკმარისი რიცხვი სტამბებისა.

სასამართლოს რეზოლიუციის გამოცხადება გადაიდო 5 თებერვლისათვის და უეჭველია სასამართლო ქალაქის გამგეობის დადგენილებას გააუქმებს, მაგრამ ეჭვი იბადება, ვაი თუ ქალაქის გამგეობა მეორეთაც არ დაემორჩილოს სასამართლოს ავტორიტეტს. ეგლა გვაკლია სრულებით არევ—დარევისათვის.

იურისტი.

ბიბლიოგრაფია

,,ხელოვნება'', № 3.

ამდროულ ეპოქაში ყველაფერი ტეხილი ხაზებით გვეჩვენება, თვითონ გადატეხაში ძვირად მოსჩანს საოცარი. თანაც: სამყაროში თანდათან კლებულობს განცვიფრება. ჟურნალი ,,ხელოვნება'', რომელიც ვერ იკისრებს რასაკვირველია რევოლუციონურ როლს, მხოლოდ კულტურული დამუშავების მაგალითებს თუ მოგვაწვდის. დღეს ესეც მნიშვნელოვანია. ამ მხრით მისი მესამე ნომერი საინტერესოა, რომელიც უთუოდ ახალი ლიტერატურის ნიშნებით მიდის. აქ გვხდებიან ზოგიერთ „ყანწელთა“ სახელები და საერთოდ უახლესი პოეზიის მატარებელნი.

ვალერიან გაფრინდაშვილი ჩვენი პოეტური შკოლის ერთი ტეტრარქთაგანია და მის „დაისები“ გამმართლებელია ჩვენ მიერ არჩეული (ან უკეთ: მონახული) გზის. მისი პოეტური პროფილი ახალს ფასეულობას შეიტანს ესთეტიურ კულტურაში. საგულისხმოა, რომ მის შესახებ „სხვები“ სიტყვასაც ვერ ძრავენ: მათთვის ალბად უბრალო „მისვლაც“ კი ძნელია გაფრინდაშვილთან. ყოველ შემთხვევაში სიტყვა ჩვენზეა და უკანასკნელიც ითქმის უთუოდ. ხსენებულ ჟურნალში ორი ლექსია მისი მოთავსებული. პირველი „ფატა—მორგანა“ არ ეკუთვნის გაფრინდაშვილის მაღალ ლექსებს: სუსტია განსაკუთრებით ლექსის ბოლო. ცხადია, ამ შემთხვევაში მე ვხელმძღვანელობ სასტიკი საზომით. მეორე ლექსში კი („კალიგულა აშორდია და გაფრინდაშვილი'') მოსჩანს აუცილებელ მაგარი მოქნევა გაფრინდაშვილის შთაგონების. „ჩემი ოცნება როგორც ქვაბი ცეცხლზე ჰკიდია—მასში სიზმრებთან იხარშება სასტიკი ზღარბი'': აქ არის ნივთთა და მოვლენათა უკანასკნელი ათვისება და ათვისებულის მოკვეთილი სიმძაფრით ჩამოსხმა. ასეთს სტრიქონებში გჯერა პოეტური სიტყვა, რომელიც მთელს ქვეყანაზე კრიზისშია უთუოდ. კარგია რითმა: ,,ხარბი—ზღარბი''. ლექსში სხვა ხაზებიცაა (—ზოგი საცილო), მაგრამ მათი გახსნა ინტიმურ რკალში თუ შეიძლება. თვითონ ტონი ლექსის ახალია გაფრინდაშვილისათვის: აქ არის გამოწვევა, რომელმაც წინასწარ იცის თრობითი გამარჯვება.

შალვა კარმელს არ ასვენებს რითმა. ხანდახან უკანასკნელი კიდეც აწვალებს მას. ,,დანიშნული შვენება'' უჩვენებს სწორეთ ამ საფრთხეს. რითმა ბოლოს და ბოლოს ლექსის ,,სამკაულია'' მხოლოდ. ,,ირმიზა-ამაყირმიზა'', ,,ფერშავჰანგებით—ფარშავანგებით'': ეს ვირტუოზობის სურვილია. ცხადია: პოეტში უნდა იყოს არტისტიც, მაგრამ არტისტობაში პოეტი არ უნდა შერჩეს ვირტუოზობას. ,,რითმა—ჯირითმა'' ხმარებულია უკვე, ხოლო აქ მახვილთა რიტმიული უსწორობაა: კარმელი ამ უსწორობას ხსნის სიტყვის დატრიალებით: ,,ჯირითმა—გადაგვირითმა''. კარმელს ყოველთვის უცდის ხსენებული საფრთხე და იგი მზად უნდა იყოს მუდამ მასთან ომისათვის.

შალვა აფხაიძის ლექსი ,,ფიქრი სოფელზე'' ლირიული დაფიქრებაა ნელობილი და დარბილებული. ლექსის ხვეული იმპრესიონისტური ხაზებით არის გამართული, ხოლო ამ ხაზებს აკლიათ უკანასკნელი პრეციზობა: იმპრესიონისტურ ათვისებაშიაც საჭიროა თანობა და ნამდვილობა სწორი მოჭრის. ,,კვირე სიზმარის'' აბსტრაქტულია მეტად. კონკრეტიული სინათლე აკლია სტრიქონს: ,,იკლეიაზე გადატყდა ჯვარი, ცოდვილ მიწაზე გადაესახლა''. ქცირვალობა პარალელიზმის ამ ხაზებში ვერ ნათლდება: ,,გარდაიცვალა აქ მაცხოვარი, ღვთის მშობლის ცრემლი და ექტენია''. ამას მით უფრო უნდა დაუფიქრდეს აფხაიძე, რომ მას აქვს სიტყვიერი ძალა უშუალო გავლენის. და გარდა ამისა: ლექსი ამ ქამად შორს არის წასული.

გრ. ჯაფარი და ინ-რე-ჟან ჯერ კიდევ არ არიან გამაგრებულნი. ი. ჭყონიას ,,სინათლე და ნიანგი'' (პროზით) ფანტაზიის მხრით მეტად პრიმიტიულია.

ჟურნალში წერილებიც არის. ვალერიან გაფრინდაშვილის „თეატრი-ტიტანიკი“ საინტერესოა როგორც გადატანა თეატრის ფენომენის ორეულთა სამთავროში, მკაცრად არის ნაგრძნობი სარკეულობა ყოველის და მოჩვენებითობა ახსნის. მხოლოდ: მხოფლიოს ამ სახით ათვისებაში არა სჩანს ნათელი გზახსნილი. ეს საბედისწერო არ არის შემოქმედისათვის თავის თავად, მაგრამ შესაძლოა საბედისწეროდ იქცეს იგი მისათვის, რაც შემოქმედში პოეტის გარდა არის. მაგრამ ამაზე სხვა დროს. სწერს გაფრინდაშვილი აფორიზმებით. ყოველი მისი ფრაზა დინჯია სიმძიმედე. ეტყობა ყოველს სიტყვას მოფიქრება გამოცდილი ოსტატის. წერის მანერას ფრანგული იერი გადაჰკრავს. მხოლოდ აფორიზმიდან აფორიზმზე გადასვლაში არ მოსჩანს ფრანგული აუცილებლობა თუ გინდ ულოდნელი და უეცარი. შესაძლოა ამის მიზეზი ვალერიან გაფრინდაშვილის ტემპერამენტი იყოს.

შალვა დადიანის „ლადო მესხიშვილი'' პორტრეტიც არის და გამოტირებაც. ყოველს სტრიქონში სჩანს სიყვარული მეტრისადმი და უფროსი მეგობრისადმი. ზოგიერთი პრობლემა ალბად განგებ არ არის წამოყენებული.

სოსო ასლანიშვილის თვალგადავლება ,,ქართული პოეზია'' სწორია და მიუკერძოებელი, თუმცა უფრო ბიბლიოგრაფიული ვიდრე უკანასკნელ-ლიტერატურული.

არის კიდევ მიმოხილვა მიხ. ზოშორიშვილისა მეტად თავდაჭერილი,—თუმცა ასეთი მოკლე თქმა მეტს ავტორიტეტს ითხოვს.

გრიგოლ რობაქიძე.

ფინანსთა სამინისტროში.

ფინანსთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრების საბიუჯეტო საფინანსო კომისიას განსახილველად და შემდეგ დამფუძნებელ კრებას პლენუმის დასამტკიცებლად დეკრეტის შემდეგი პროექტი გადასცა:

1) შემოღებულ იქნეს თავდაცვის გადასახადი იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც გამოწვეული იქნება რესპუბლიკის თავდაცვის ორგანიზაციით.

2) თავდაცვის გადასახადი იქნეს ერთდროული და განისაზღვროს იგი 1920 წლ. გადასახადების მიხედვით შემდეგის წესით: ა) თვითეულ მანეთს შემოსავლის ქვალობის გადასახადზე დაედოს კიდევ ერთი მანეთი თავდაცვის გადასახადი. ბ) თვითეულ მანეთს სასარეწაო გადასახადზე-ორი მანეთი. გ) თვითეულ მანეთს სოფლის მეურნეობის შემოსავალზე დაწესებულ გადასახადისას ორი მანეთი.

3) უფლება მიეცეს ფინანსთა მინისტრს ინსტრუქციით განსაზღვროს დრო და წესი თავდაცვის გადასახადის აკრეფისა, შემოიღოს ადმინისტრატიული ზედამხედველობა მისი სწორი და თავის დროზე შემოტანისათვის, აგრეთვე გამოსცეს დაწვრილებითი ინსტრუქციები და წესდება ამ გადასახადის შესახებ, იმ პირობით მხოლოდ, ყოველივე ეს არ ეწინააღმდეგებოდეს არსებულ კანონებს.

4) ამ დეკრეტის განხორციელებით გამოწვეულ ხარჯის დასაფარავად გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის სამი მილიონი (3.000 000) მანეთი.

(ს. დ. ს.)

შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტრომ სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა გამგეებს შემდეგი ცირკულიარით მიმართა: თანახმად მთავრობის მიერ დადგენილებისა, რომელიც მან იანვრის 6 მიიღო, სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებების მუშებსა და მოსამსახურეებს მანუფაქტურის მაგივრად ოჯახის შემადგენლობის მიხედვით უნდა მიეცეთ სესხად სულზე 3.000 მან., მაგრამ არა უმეტეს 10.000 მან. ოჯახზე. ფინანსთა მინისტრთან და სახელმწიფო კონტროლიორთან შეთანხმებით სესხის მიღებისათვის შემდეგი წესი შემუშავდა: 1) სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებების გამგენი პირად პასუხის მგებლობის ქვეშ ადგენენ მუშათა და მოსამსახურეთა სიებს, თანამდებობასა, და ჯამაგირის რაოდენობის აღნიშვნით და ოჯახის წევრთა აღრიცხვით, სიები მზადდება ორ ეკზემპლიარად. 2) ამ რიგად შედგენილი სიები მიეკრება ასიგნოვკებს და ერთი ეკზემპლიარი გადაეგზავნება სახელმწიფო კონტროლში წინასწარ რევიზიისათვის, მეორე ეკზემპლიარი გადაეგზავნება შრომის სამინისტროს. ამასთანავე ფინანსთა მინისტრი მოითხოვს საგანგებო კრედიტის გახსნას. 3) სახელმწიფო კონტროლიორის მიერ გრიფის დადების შემდეგ, სათანადო დაწესებულებებს შეუძლიათ ასიგნოვკებით ხაზინიდან ფულის მიღება საერთო საფუძვლით. 4) იმ პირს, რომელიც რამოდენიმე თანამდებობას ასრულებს, მხოლოდ ერთი თანამდებობიდან შეუძლია სესხის მიღება, ოჯახის წევრებს, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში ითვლებიან, მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ სესხის მიღება. 5) მოსამსახურეთა და მუშების სიებში უნდა შეტანილ იქნენ ოჯახის ის წევრები (მეუღლე და ბავშვები 16 წლამდე), რომლებიც მათთან სცხოვრობენ, და არსად. არ მუშაობენ. დედმამა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეიტანონ სიაში, თუ ისინი მუშა მოსამსახურესთან სცხოვრობენ და მათ სარჩენს შეადგენენ. დები და ძმები სიაში არ იქნებიან შეტანილი გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი სრული და ობლები არ არიან და თუ ისინი მოსამსახურეებთან სცხოვრობენ. 6) სესხის მიღების უფლება აქვთ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ითვლებიან სამსახურში იანვრის პირველამდე 7) სესხი უნდა დაიფაროს 1921 წლის განმავლობაში ნაწილ ნაწილად იმ ვადებში, რომლებსაც გამოაცხადებს შრომის სამინისტრო. (ს. დ. ს.).

ავტორებს და მთარგმნელებს

კულტურის უპირველესი იარაღი წიგნია და საქართველოსთვის, რომელიც საკუთარი ძალღონით და გზით შეუდგა კულტურისაკენ გზის გაკაფვას, არასოდეს წიგნი ისე საჭირო არ ყოფილა, როგორც დღეს. წიგნი უნდა ქალაქსა და სოფელს, დიდს და პატარას. უწიგნოთ ფეხის გადადგმაც კი აღარ შეუძლიან როგორც მოაზროვნეს, ისე ფიზიკურად მომუშავეს, ქალაქის და სოფლის მუშას, მოხელეს და პრაქტიკულს მოღვაწეს, მოსწავლეს და მასწავლებელს.

სამწუხაროთ, ჩვენი წიგნის ბაზარი არასოდეს ისე შეკრული და შეზღუდული არა ყოფილა, როგორც დღეს არის. ძველი წიგნი სრულებით გაქრა, ორი სამი თვე ისე გაივლის ხოლმე, რომ ახალ წიგნს ძლივს შეხვდება კაცი. საოცარი სიძვირისა და ქაღალდის უქონლობის გამო კერძო კაცისთვის შეუძლებელი გახდა წიგნების გამომცემლობა. საჭიროებამ მოითხოვა სახელმწიფოსი და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ჩარევა ამ საქმეშიაც ისე, როგორც ყველა სხვა საქმეში.

სწორედ ამიტომ განიზრახა ერობათა კავშირმა გამომცემლობა ფართო მაშტაბით. საზოგადოებას უკვე ეუწყა, რომ ა. წ. იანვრიდან კავშირმა იკისრა საყმაწვილო ჟურნალების „ჯეჯილის'' და ,,ნაკადულის'' გამოცემა. ახლა კავშირი წიგნების გამოცემასაც შეუდგა.

პირველი რიგში განზრახულია სახალხო და საბავშო წიგნების გამოცემა.

მაგრამ სამწიგნობრო ასპარეზზე მოღვაწეთა და მომუშავეთა გარეშე შეუძლებელია ამ დიდი საქმის გაკეთება. კავშირი მიმართავს ავტორებს და მთარგმნელებს-თხოვნით, გაუწიონ დახმარება და მიაწოდონ გამოსაცემად ყოველ-გვარი წიგნი, მეცნიერების ყველა დარგიდან, რაც კი წასაკითხად გამოდგება ხალხის ფართო მასის და ნორჩი თაობისათვის. თავის თავად აშკარაა, რომ ყველა ავტორი და მთარგმნელი შესაფერ ჰონორარს მიიღებს.

მასალების გამოგზავნა შეიძლება თბილისში ერობათა კავშირში (რუსთაველის პროს. № 24) კავშირის კომიტეტის სახელობაზე.

საეკლესიო განძეულობათა დატაცება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება: თავის დროზე საგანგებო კომისიამ მიიღო ზომები საეკლესიო განძეულობის დასაცავად. ეს განძეულობა გადაეცა შესანახავათ ადგილობრივ მართვა გამგეობის პირთ და ეკლესიების წინამძღოლთ. ზუგდიდის მაზრის დ. წალენჯიხში სამღვდელოებას შესანახავათ გადაეცა რამდენიმე ას მილიონ მანეთად ღირებული საეკლესიო განძეულობა. თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებისა მთელი ეს განძეულობა იანვრის 17 მოუპარავთ. მიღებულმა ზომებმა გამოარკვია, რომ ამ ნივთების მოტაცებაში მონაწილეობას ღებულობდა ადგილობრივი სამღვდელოებაც. საერობო გამგეობის წევრისა და დამფუძნებელი კრების წევრ კორაცხელიას თანადასწრებით სამი ათასი კაცისაგან შემდგარ ყრილობაზე სამღვდელოება გამოტყდა, რომ ეს განძეულობა მან წაიღო და დამალა. ამასთანავე სამღვდელოებამ პირობა დასდო, რომ იგი მთავრობას წარუდგენს ამ ძვირფას ნივთებს ორი სამი დღის განმავლობაში. გამოძიების წარმოება გრძელდება.

(ს. დ. ს.)

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

,,სორაპნის'' გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ სარგის კაკაბაძის
,,შემოკლებული ისტორია საქართველოსი''
ახალი საუკუნის ეპოქა.
სახელმძღვანელო უმაღლეს დაწყებით ს.სწავლებლების და საშუალო სასწავლებლების მეოთხე კლასის კურსი
ფასი 400 მ.
მისამართი: თბილისი, სტამბა ,,სორაპანი'' მ. გაჩეჩილაძეს.
1—4 3414

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის,
მიხეილ მედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიულ სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 91 და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

თვალების ავადმყოფობი
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფები მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

კბილის ექიმი
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
ჩამოვიდა მოსკოვიდან და იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილით 10—2 საათ. და საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღის ქუჩის კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ აზარიანცის ბინა № 20 ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი
ა. ე. ლევანშტეინი.
იღებს რენტგენისა და ელექტრონით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და აგრეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებით შინაგან ორგანოთა და ჭრილობათა გამოკვლევას. წამლობა დიდი ძალის ტოკით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა 3. ტელ. 12-46.
მიღება 11-12 და 4-7 საათამდე.

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასია ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სნეულე—მილას ავათმყოფობს ვექიმობ ,,ნეიმანის და ვესსელის'' მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოოტეხნიაზე'' (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიკ-აზარიანცის სახლი. 3

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეთში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პროვმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 3314

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5-7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა № 3208.

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნტის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268